ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 26 ნოემბერი, 2019 №280 (8234) ფასი: 60 თეთრი

## მიხეილ კალანდია სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა



გვ.5

26 ნოემბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

საგანძური

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი




# „როცა სააკაშვილი მიჭერდა, კალაძე მისი თავგადაკლული აგიტატორი იყო“



გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოზურგეთში ივანიშვილის ძმა მებრძოდა, რომელიც ნაციონალების კანდიდატს უჭერდა მხარს“

## სერგი კაპანაძე: „ოცნება“ ასეთი ბრიყვი თუ იყო, ვერ წარმომედგინა“



გვ.3

„გაჭიმული ზამბარა მას ცხვირში მტკივნეულად მოხვდება“

### კალაძე: „არჩევნები 2020-ში არსებული სისტემით ჩატარდება“

### ბოკერია: „ოცნებამ“ უტიფრობის საკუთარი რეკორდი მოხსნა“

## „მოდით და დადექით აქ“

მარგველაშვილი რუსთაველზე მიმდინარე აქციას შეუერთდა





გვ.2



## გია ხუხაშვილი: „ივანიშვილის პროვინციულ სპექტაკლში რეჟისორიც და მსახიობებიც არაპროფესიონალები არიან“




გვ.2

„ხელისუფლება შეგნებულად მიდის ესკალაციაზე“



გვ.4

## „სანიკიძისა და გელბახიანის სააკაშვილთან შეხვედრის მსგავსი მოვლენა პოლიტიკას არ ახსოვს“

ბიძინა გუჯაბიძე: „პარტიებმა, რომლებიც ნაციონალებთან ერთად დადგნენ, უკვე დაკარგეს ამომრჩევლის ნაწილი“

ISSN 1987-9385

5 დიდუბეში 2 ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

4 რა იგეგმება ოკუპირებულ გალის რაიონში ქართველების წინააღმდეგ?

5 ადვოკატი გელხაური: „არც ერთ პოლიციელს არ უთქვამს, რომ მაჩალიკაშვილი და ლორთქიფანიძე რომელიმე სამართალდამცავზე ძალადობდნენ“

6 ჩინეთში ძლიერი მიწისძვრა მოხდა

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილის პროვინციულ სპექტაკლში რეჟისორიც და მსახიობებიც არაპროფესიონალები არიან“

## „ხელისუფლება შეგნებულად მიდის ესკალაციაზე“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნება“ ოპოზიციასთან დათმობაზე არ მიდის. შესაბამისი განცხადება გუშინ პარტიის გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ გააკეთა, რომელმაც თქვა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები შერეული სისტემით ჩატარდება და ეს საკითხი დახურულია. ამას გარდა კალაძე ოპოზიციას შეთავაზებასაც უკეთებს და ამბობს, რომ იმ მაჟორიტარულ ოლქებში, სადაც არ დააყენებს კანდიდატს ნაციონალური მოძრაობა და მისი განაყოფები, თავადაც არ დააყენებენ. კალაძის ბრიფინგს ხაზად გასდევდა ნაციონალური მოძრაობა და მისი მმართველობის წლები.

როგორ უნდა გავიგოთ კალაძის ეს შეთავაზება, ეს არის შეთავაზება თუ ფსევდოშეთავაზება და ამ ფონზე პროცესების როგორი განვითარება იკითხება? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს:

***— მოვისმინეთ „ქართული ოცნების“ შეთავაზება ოპოზიციის მისამართით მაჟორიტარებთან დაკავშირებით.***

— ეს ხომ სისულელეა. ეს არანაირი შეთავაზება არ არის. ჯერ ეს ერთი, რა კრიტერიუმით დგინდება, სად მისცე შანსი, ძალიან მაინტერესებს, სადაც შანსები ექნებათ, იქ დავუთმობთო. თვითონ არ იციან, რაზე ლაპარაკობენ. მით უმეტეს, ნდობა ასეთი განაცხადის მიმართ არის ნულოვანი.

ორი მიზეზის გამოა ეს და აგიხსნით, რატომაც. პირველი, არ არსებობს კრიტერიუმები, სად შეუძლია წარადგინონ და ამაზე მერე იტყვიან, რომ შანსი არ აქვთო. გარდა ამისა, ისინი ისევ ფსევდოდამოუკიდებელ კანდიდატებზე აკეთებენ ორიენტაციას, ასე ჩანს. ასეთ ფსევდოდამოუკიდებელ კანდიდატებში ვგულისხმობ, მაგალითად, სალომე ზურაბიშვილს, რომელზეც ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ბოლომდე გვიმტკიცებდნენ, რომ დამოუკიდებელი კანდიდატი იყო. ეს ხომ სრული სისულელეა?! აქედან გამომდინარე ისევ სათითურით გვეთამაშებიან და ჰგონიათ, რომ ყველა ბრიყვია და არავის არ ესმის, რაზე ლაპარაკობენ.



სინამდვილეში, ამ ბრიფინგის ამოცანა სრულად გაუგებარი იყო. გამოვიდნენ, წინა დღეს თქვეს, რომ მივიღეთ რაღაც გადაწყვეტილება და ხვალ გამოგიცხადებთო, ამით შექმნეს რაღაც მოლოდინი. საბოლოოდ კი გვითხრეს, რომ ჩვენი გადაწყვეტილება ის არის, რომ გადაწყვეტილება არ შეგვიცვლიაო. ამ სისულელეებში არიან და როდესაც ასე უხარისხოდ მოქმედებს პოლიტიკური ძალა, ეს ნიშნავს, რომ ის არის აფექტის მდგომარეობაში და მზად არის, რომ ერთი და იგივე რაღაცა იძახოს ყოველდღე და იძახოს, რომ არ მეშინია.

მათი დღევანდელი საქციელი აბსოლუტურად არაადეკვატური იყო და ის ბრიფინგი, რომელზეც გამოგვიცხადეს, რომ არაფერს არ ცვლიან.

***— ჩემი კითხვა ვერ დავასრულე და გავიმეორებ კითხვას — ეს არის შეთავაზება თუ ეს არის ფსევდოშეთავაზება ოპოზიციის მიმართ?***

— ბუნებრივია, რომ ეს არის ფსევდოშეთავაზება. სალომე ზურაბიშვილის მაგალითი არის ამის კლასიკური მაგალითი. ისინი დღესაც ამტკიცებენ, რომ დამოუკიდებელი კანდიდატი იყო, მაშინ როდესაც, მთელმა „ქართულმა ოცნებამ“ ხმლით იბრძოლა და სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით, ათმაგი ბიუჯეტი დახარჯა. ვხედავთ, როგორი დამოუკიდებელია დღეს.

***— სამაგიეროდ, მის შეცდომებზე ამბობენ, რომ ის „ქართული ოცნების“ წევრი არ არისო.***

— კი, სრული კომფორტი აქვთ. რამე განსაკუთრებულ სიბრიყვეს როცა აკეთებს პრეზიდენტი, ამბობენ, რომ ჩვენი არ არისო, მაგრამ რეალურად მათია. ეს არის სულელური თამაში, სათითურებით თამაშობენ. ეს არ არის სერიოზული პოლიტიკური თამაში, იმიტომ, როდესაც სერიოზული პოლიტიკური მოთამაშეები თამაშობენ, იქ ძნელია შედავება, რადგან არგუმენტებია. აქ კი პირდაპირ სათითურებით გვეთამაშებიან, ისე რომ, დიაგნოზი პირდაპირ ზედაპირზე დევს.

***— ოპოზიციის გახლეჩვისათვის ანკესის გადაგდების მცდელობაც ხომ არ არის ეს იმ ვითარებაში, როცა მთელ ხაზად გასდევს ისევ ნაციონალური მოძრაობის თემა?***

— მე პირიქით უფრო დავინახე. ამას უკუეფექტი უფრო ექნება ამ არაადეკვატურობის გამო. იმედგაცრუება კიდევ უფრო გაამძაფრებს ვითარებას. რა საჭირო იყო ეს ბრიფინგი, საერთოდ გაუგებარია.

***— როდესაც გვეუბნებიან იმას, რომ მაჟორიტარები ითხოვენ სრულად მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლას, მაგრამ დღეს არც ამ საკითხს განვიხილავთო, ეს როგორ უნდა გავიგოთ?***

— ეს ყველაფერი ხომ ისეთი უხარისხო მცდელობაა, რომ ამაზე ლაპარაკიც კი არ ღირს. ვინ რას სთავაზობს. ეს ყველაფერი არის თამაში, ეს იყო პროვინციული სპექტაკლი. მაჟორიტარების ე.წ. ბუნტით დაწყებული და დღევანდელი ბრიფინგით დამთავრებული. ეს არის ძალიან უხარისხო პროვინციული სპექტაკლი არაპროფესიონალი მსახიობების შესრულებით, ეს არის მეტი არაფერი.

***— სპექტაკლის რეჟისორი ბიძინა ივანიშვილია?***

— თუ ამას რეჟისორი ჰქვია, კი ბატონო. მაგრამ ამას რეჟისურა არ ჰქვია, რეჟისორიც არაპროფესიონალია, მსახიობებიც არაპროფესიონალები არიან და მაყურებლები ამ სპექტაკლზე მარტო იმიტომ დადიან, რომ სხვა გასართობი არაფერია და რა ქნას ხალხმა?!

***— ამ ვითარებაში თქვენ პირადად რაში ხედავთ გამოსავალს და როგორ შეიძლება დასრულდეს პროცესი?***

— ყველაფერი მიდის ესკალაციისკენ. ხელისუფლება შეგნებულად მიდის ესკალაციაზე, შეგნებულად მიდის ჭიდაობასა და პიკეტირებაზე, მიდის კონფრონტაციაზე და გასაგებია მათი გეგმა. კონფრონტაციის შედეგად მათ უნდა შე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# კალაძე: „არჩევნები 2020-ში არსებული სისტემით ჩატარდება“

გუშინ, 25 ნოემბერს, „ქართული ოცნების“ ოფისში უმრავლესობის სხდომის გამართვის შემდეგ, კახი კალაძემ ბრიფინგი გამართა.

კალაძემ ოპონენტებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, 2020 წლის არჩევნებისთვის მზადება დაიწყონ, რადგან მმართველი გუნდი საარჩევნო სისტემის შეცვლას არ აპირებს და აღნიშნულთან დაკავშირებით, თემა დახურულია.

— თემა დახურულია, „ქართული ოცნება“ გერმანულ მოდელს არ იღებს და 2020-ში შერეული საარჩევნო სისტემა შენარჩუნდება, — განაცხადა კახი კალაძემ.

მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ არ დააყენებს კანდიდატებს იმ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, სადაც, ნაციონალური მოძრაობის ორი ძირითადი ფრთისა და მისი დანამატების გარდა, დანარჩენი ოპოზიციის ნებისმიერ წარმომადგენელს ან დამოუკიდებელ კანდიდატს ექნება გამარჯვების რეალური შანსი.

— გზას გავუხსნით ორგანიზაციულად სუსტ, მაგრამ ავტორიტეტის მქონე პოლიტიკურ ჯგუფებს და აქტიურ ადამიანებს, რათა მათ უშუალო და ქმედითი მონაწილეობა მიიღონ ხელისუფლების განხორციელების პროცესში, რაც იყო კიდეც ჩვენ მიერ ივნისში წარდგენილი საარჩევნო შეთავაზების მთავარი იდეა, — განაცხადა კალაძემ.

მისი თქმით, ჯერ კიდევ 2017 წელს, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის ცალმხრივი ინიციატივითა და ძალისხმევით, კონსტიტუციაში აისახა 2024 წლიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება.

— შეგახსენებთ, რომ ამ პროცესს ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა განშტოებებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. დღესაც სწორედ ეს ადამიანები, ზუსტად იგივე შემადგენლობით, დგანან ქუჩაში და კანონსაწინააღმდეგო დესტრუქციული ნაბიჯებით ცდილობენ, პრობლემა შეუქმნან ქვეყნის მშვიდობიან და დემოკრატიულ განვითარებას, — განაცხადა კახა კალაძემ.

მან ასევე გაიხსენა 2008 წლის მოვლენები, როდესაც ხელისუფლებაში მყოფმა ნაციონალურმა მოძრაობამ საკონსტიტუციო ცვლილებები არ განახორციელა და პროპორციულ სისტემაზე გადასვლის ნაცვლად მაჟორიტარების რაოდენობა საკანონმდებლო ორგანოში გაზარდა და სიითი დეპუტატების რაოდენობა შეამცირა.

— ეს ის გუნდია, რომელმაც 2008 წლის მარტში ხალხის გადაწყვეტილების ანუ რეფერენდუმის შედეგების რევიზია, საპარლამენტო კენჭისყრის გზით, საკუთარი ვიწროპარტიული და საარჩევნო მიზნებიდან გამომდინარე განახორციელა და მაჟორიტარული კომპონენტი გააძლიერა. კერძოდ და კონკრეტულად — 50 მაჟორიტარული მანდატი 75-მდე გაზარდა, პროპორციული წესით ასარჩევი 100 დეპუტატის რიცხოვნობა 75-მდე შეამცირა, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, ამ პოლიტიკურ სუბიექტებს არა აქვთ არავითარი მორალური უფლება, პროპორციულ სისტემაზე დასანანი ვერგადასვლის გამო, „ქართულ ოცნებას“ რაიმე პოლიტიკური ბრალდება წაუყენონ.

— მათ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ, თავი შეიკავონ დესტრუქციული მოქმედებებისგან, დაიცვან კანონი და საკუთარი ძალისხმევა დემოკრატიულ არჩევნებში მონაწილეობისკენ მიმართონ, — დასძინა კახა კალაძემ.

# ბოკერია: „ოცნებამ“ უტიფრობის საკუთარი რეკორდი მოხსნა“

— „ოცნება“ უტიფრობის საკუთარ რეკორდებს ხსნის, — ასე შეაფასა კალაძის მიერ გახმოვანებული უმრავლესობის გადაწყვეტილება „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა გიგა ბოკერიამ.

— მთელ საზოგადოებას ეუბნებიან, გადაგაგდეთ და ფეხებზე გვკიდიხართო, ამასთან თქვეს, ჩვენი სატელიტები ვინც იქნებიან, იმას არ დავუყენებთ კონკურენტ კანდიდატსო.

ეს არაფერს არ ცვლის, კიდევ უფრო მწვავე გახდება პროტესტი. ჩვენ გვაქვს საერთო პოზიცია იმ მოდელთან დაკავშირებით, რომელიც კონსტიტუციურ ფარგლებში არის და გერმანულ პრინციპზეა დაფუძნებული. ამ პროექტს გავაგზავნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კიდევ უფრო გავაშიშვლებთ ივანიშვილს საერთაშორისო თანამეგობრობასთან.

თუმცა, პროტესტი მნიშვნელოვანი არის აქ, რომელიც გაგრძელდება და ეს სამარცხვინო გუნდის ლიდერი თავის კლოუნებიანად გატყდებიან და პოლიტიკურად ჩამოიქცევიან, — განაცხადა გიგა ბოკერიამ.

# „მოდით და დადექით აქ“

## მარგველაშვილი რუსთაველზე მიმდინარე აქციას შეუერთდა




გუშინ, 25 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციას საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი შეუერთდა.

მარგველაშვილმა მოქალაქეებს აქციაზე მისვლისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ „ოცნებამ“ საზოგადოება მოატყუა, როცა უარი უთხრა პროპორციულ არჩევნებზე.

მისი თქმით, არ შეიძლება პოლიტიკა გრძელდებოდეს შეთითხნილი საარჩევნო შედეგით.

— დღეს აქ დგას ყველა ის მოქალაქე, ვისაც გააზრებული აქვს ორი რამ: პირველი — ეს არის ის, რომ ტყუილში ცხოვრება ქართველი ხალხისთვის არის მიუღებელი. შეუძლებელია, გააგრძელო პოლიტიკური ცხოვრება, როცა ფაქტობრივად „ქართულმა ოცნებამ“ უარი უთხრა საზოგადოებას იმ ძირითადი ღირებულებისთვის, რაც მოიტანს პროპორციულ არჩევნებს.

აქ დგას ის ხალხი, ვისაც სურს ხვალინდელი, მომავალი პროგრესული დღე ქართული პოლიტიკის, არ შეიძლება პოლიტიკა გრძელდებოდეს ასე, რაღაც შეთითხნილი საარჩევნო შედეგით.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ დგანან ოპოზიციისთვის, არის პრინციპულად შემცდარი. მოდით და დადექით აქ, იმიტომ, რომ პროპორციული არჩევნები მოიტანს იმას, რომ ყველას ექნება თავისი წილი, თუ არ გინდათ, რომ მოხდეს ერთი ხელისუფლების მიერ მეორე ხელისუფლებისთვის ძალაუფლების გადაცემა, მოდით და დადექით აქ, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

# არჩილ თალაკვაძე: „კომოს ტბაზე კი არა, მილანში ვიყავი ცოლ-შვილთან ერთად“

— გაკეთებული სიუჟეტით რა სურდათ ეთქვათ საზოგადოებისთვის: პარლამენტის თავმჯდომარე გაფრინდა კომოს ტბაზე დასასვენებლად, იქ ისვენებს ბიუჯეტის ფულით, აი, შეხედეთ არ აინტერესებს სხვა არაფერი — ცხრა ამბიდან რეალურად საბოლოოდ დარჩა ის, რომ პარლამენტის თავმჯდომარე პირად საქმეზე ჩაფრინდა მილანში და მეორე დღეს იყო სამსახურში.

ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედში“ გადაცემა „კვირის თემაში“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ძალიან აღაშფოთა იმ ფაქტმა, როცა ოჯახური გასვლის გამო პოლიტიკური ვაიუშველებელი ატეხეს.

— მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, სამუშაო ადგილას ვიყავი ყოველდღე და არანაირი პოლიტიკური „შატალო“ ეს არ ყოფილა. მით უმეტეს, არ მივიღებ ასეთ კრიტიკას იმათგან, ვინც ბიუჯეტის ხარჯზე სეირნობდა უცხოეთში სამეგობროებით.

ჩემი მხრიდან იმ ვიდეო ჩართვის გავრცელება აშკარაა, არ აღმოჩნდა საკმარისი ამ ხელოვნური ისტერიის გასანეიტრალებლად, თუმცა რეალურად ეს იყო პასუხი იმ მომენტში ფეიკნიუსზე — კომოზე ვისვენებდი თუ პარლამენტში ვიყავი.

ჩვენს საზოგადოებას მინდა ვუთხრა, რომ ვწუხვარ შექმნილი უხერხულობისთვის.

სინამდვილეში მთელი ეს ფეიკი ააწყვეს იმაზე, რომ პარლამენტის თავმჯდომარე მილანში ჩავიდა მეუღლესთან და შვილთან ერთად და მეორე დღეს იყო სამსახურში, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ

რამდენიმე დღის წინ მთავარმა არხმა და ფორმულამ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ არჩილ თალაკვაძე იტალიაში, კომოს ტბაზე ისვენებდა.

არჩილ თალაკვაძემ მეორე დღეს თავისი ოფისიდან ვიდეო ჩაწერა და ამ ინფორმაციას ფეიკნიუსი უწოდა.

# პარლამენტის თავმჯდომარეს 7 მოადგილე ეყოლება

პარლამენტის თავმჯდომარეს 7 მოადგილე ეყოლება.

ვიცე-სპიკერი ხდება მამუკა მდინარაძე, რომელიც ამავე დროს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერიც იქნება, ასევე ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე ინაცვლებენ გიორგი კახიანი და კახა კუჭავა (საგარეო მიმართულებით), გია ვოლსკი კი, რომელსაც ამ დრომდე ვიცე-სპიკერის და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პოსტები ეკავა, პირველი ვიცე-სპიკერი იქნება.

გარდა აღნიშნული პირებისა, სპიკერატში პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები ასევე უკავიათ აჭარაში არჩეულ დეპუტატ ილია ნაკაშიძეს და ოპოზიციის კვოტით არჩეულ სერგი კაპანაძეს და ირმა ინაშვილს.

რაც შეეხება კომიტეტების თავმჯდომარეებს, ევროინტეგრაციის კომიტეტს თამარ ხულორდავას ნაცვლად დავით სონღულაშვილი უხელმძღვანელებს, საგარეო კომიტეტს სოფო ქაცარავასგან ირაკლი ბერაია, განათლების კომიტეტს მარიამ ჯაშისგან — გენადი მარგველაშვილი, საპროცედურო კომიტეტს გიორგი კახიანისგან გურამ მაჭარაშვილი გადაიბარებს, გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე კი ნინო წილოსანი იქნება. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ხელმძღვანელად რჩება რომან კაკულია.

გარდა ამისა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის თანამდებობას დაიკავებს რატი იონათამიშვილი.

# უმრავლესობის ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ დაიშალა

საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქცია „ქართული ოცნება — კონსერვატორები“ დაიშალა.

აღნიშნული ფრაქციის წევრი, დეპუტატი რუსლან გაჯიევი „ქართული ოცნება — მწვანეებს“ უერთდება, ხოლო დეპუტატი მუხრან ვახტანგაძე ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ გადადის.

მანამდე ფრაქცია „ქართული ოცნება — კონსერვატორები“ კიდევ სამმა წევრმა დატოვა. კერძოდ, 14 ნოემბრის კენჭისყრის შემდეგ, აღნიშნული ფრაქციიდან წავიდნენ დეპუტატები: ნინო გოგუაძე, ზვიად ძიძიგური და გიგა ბუკია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 294-02-55
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სერგი კაპანაძე: „ოცნება“ ასეთი ბრიყვი თუ იყო, ვერ წარმომედგინა“

## „გაჭიმული ზამბარა მას ცხვირში მტკივნეულად მოხვდება“

ნონა ცაბაძე

ოპოზიციის მოლოდინი, რომ „ოცნება“ პლებისციტს შესთავაზებდა, არ გამართლდა. არჩევნები 2020 წელს შერეული სისტემით ჩატარდება. პროპორციული სისტემა კი 2024-შიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადება „ქართული ოცნების“ ოფისიდან ტრადიციულად კახი კალაძემ გააკეთა და ოპოზიციას მოუწოდა, არჩევნებისთვის მოემზადოს. რა გეგმები აქვს ოპოზიციას, როგორ მიიღეს ხელისუფლების ეს გამოწვევა, რით უპასუხებენ მათ? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **სერგი კაპანაძე** პასუხობს.

***— ბატონო სერგი, ხელისუფლება დათმობაზე წამოსვლას არ აპირებს. როგორია ოპოზიციის პასუხი, რა გეგმები გაქვთ?***

— ჩვენი პასუხი არის იმ სტრატეგიის გაგრძელება, რომელიც აქამდეც გვქონდა დაანონსებული. ანუ ჩვენ გავაგრძელებთ აქციებს, პიკეტირებებს და ასე შემდეგ. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ეს თავგასული ოლიგარქი არ მოეგება გონს და არ მიიღებს ჩვენს შეთავაზებას, რომელიც ეხება შემდეგი არჩევნების ჩატარებას პროპორციული მეთოდით. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ გერმანულ მეთოდს.

***— საზოგადოების ერთ ნაწილში და ოპოზიციაში იყო მოლოდინი, რომ „ოცნება“ პლებისციტს შემოგვთავაზებდა, თუმცა არც ამაზე წამოვიდნენ. კალაძემ მოკლედ მოჭრა და განაცხადა, რომ არანაირი შემოთავაზება არ განიხილება.***

— ხელისუფლება არის არაადეკვატური, ვერ ხვდება, რა პროცესები მიდის საზოგადოებაში, იმდენად შეპყრობილნი არიან იმის შიშით, რომ დაკარგავენ ხელისუფლებას, მზად არიან, ბოლომდე წავიდნენ ხელისუფლების უზურპაციაზე.

***— გამოდის, რომ მიზანმიმართულად ამწვავებენ პროცესებს, მაგრამ ეს რაში უნდა აწყობდეთ?***

— კი ბატონო, ეგრეა. არ ვიცი, რაში უნდა აწყობდეთ. მე არა მგონია, რომ რაციონალურად აზროვნებდნენ. ისინი აზროვნებენ მხოლოდ და მხოლოდ იმ შიშიდან გამომდინარე, რომ არ დაკარგონ ხელისუფლება. ხელისუფლებას კი კარგავენ ყველა ვარიანტში. უბრალოდ, არჩევანი აქვთ, ამას როგორ დაკარგავენ. ჩვენი სურვილი არის, რომ ეს მოხდეს დემოკრატიული არჩევნების გზით, სამართლიანი არჩევნების გზით. მათ უნდათ, რომ ჰქონდეთ უსამართლო საარჩევნო სისტემა და არ გამოვა უსამართლო საარჩევნო სისტემა.

ამ გზით ძალაუფლების უზურპაციის საშუალებას ივანიშვილს არავინ მისცემს.

***— იმედი აქვთ, რომ ოპოზიციას მობეზრდება და დაიშლება?***

— არ ვიცი, რას ფიქრობენ. კალაძის ეს შეთავაზება, რაც ჩვენ მოვისმინეთ, როგორ დაშლის ოპოზიციას, სრულიად გაუგებარია. ამდენად ბრიყვები თუ არიან, მაგის წარმოდგენაც კი მიჭირს. როგორც ჩანს, არიან! არაფერი აღარ მიკვირს საბოლოო ჯამში ივანიშვილისგან. არაადეკვატური გახდა და ადეკვატურობაზე რომ დავაბრუნოთ, ამისთვის არის საჭირო ბევრი ადამიანის გამოსვლა და მისთვის ამ გზავნილის გაკეთება.

ეს მოხდა გუშინ და ეს მოხდება დღეს, ხვალ და ყოველდღე. ჩვენ დავანახვებთ ივანიშვილს, თუ რამდენად არ ვიღებთ აი, ამ ბრიყვულ შემოთავაზებას. აბსოლუტურად ყველაფერზე თქვეს უარი! უნდათ ამ ფუკების თამაში? კი ბატონო, შევყვებით. ვნახოთ, სადამდე შევლენ.

***— ერთგვარი გამოწვევაა ეს?***

— დიახ, საზოგადოება გამოიწვიეს, თუმცა პირველად არ გამოუწვევიათ. 20 ივნისს გამოიწვიეს, 21 ივნისს გამოიწვიეს, როცა გახარია დააწინაურეს, მაშინ გამოიწვიეს, როცა პროპორციულზე უარი თქვეს, მაშინ გამოიწვიეს. დღესაც აგრძელებენ გამოწვევას. რაც უფრო გაჭიმავენ ამ ზამბარას, მით უფრო მტკივნეულად მოხვდებათ ცხვირში.

***— ჰგონიათ, რომ ასე მივლენ 2020-მდე. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ, ვადამდელ არჩევნებს მივიღებთ?***

— არანაირი მოლოდინი არ მაქვს მათგან. მე მაქვს ერთადერთი მოლოდინი, რომ ჩვენ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას მივაღწევთ. როდის და რა ვადებში, არ ვიცი. მე ვიცი ერთი, რაც უფრო გაწელავს ივანიშვილი, მით უფრო მწარედ მოხვდება ეს მუშტი ცხვირში.

სურთ, რომ ასე გააგრძელონ სპეცრაზმის საშუალებით ქვეყნის მართვა? კი ბატონო, გააგრძელონ! რამდენი ხანი გააგრძელებენ, ამასაც დავინახავთ.

***— სერიოზულია დასავლეთის ზეწოლა, მითითებები „ოცნების“ ხელისუფლებაზე. ექნება ამას რაიმე შედეგი?***

— ეს მეორე სერიოზული გამოწვევაა ჩვენთვის. ამ ადამიანმა იმდენად გადალახა ყველა წითელი ხაზი, რომ საერთოდ აღარ აინტერესებთ ჩვენი პარტნიორების აზრი.

ეს არის პირველი სერიოზული ნაბიჯია იმისკენ, რაც იანუკოვიჩმა გააკეთა, როდესაც საბოლოოდ გადაერთო რუსულ ვექტორზე. აქამდე რაღაცა შემაკავებელი ფაქტორები იყო, ახლა, როგორც ჩანს, არაფერი აღარ აკავებს.

ძალიან სახიფათოა ასეთი მმართველი ქვეყანაში და მართლა კატასტროფა შეიძლება მოხდეს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებისთვის, ამიტომ ყველას ამოცანა უნდა იყოს, რომ ეს კაცი მოვიშოროთ ხელისუფლებიდან. შეუძლებელია სხვანაირად, რომ ამ ქვეყანამ გააგრძელოს წინსვლა.

***— როგორ უნდა მოიშოროთ?***

— მშვიდობიანი აქციებით, ჩვენი პროტესტით ამას მივაღწევთ.

***— აქტიურად დაიწყო დაჭერები, აქციების დარბევები...***

— ამ დაჭერებით ვერ შეინარჩუნებს ხელისუფლებას. საქართველო არ არის ჩრდილოეთ კორეა, რომ დაიჭიროს ყველა ოპოზიციურად განწყობილი ადამიანი, რომელთა რაოდენობა მილიონზე ავიდა. ყველას ხომ არ დაიჭერს? შეუძლებელია ამ გზით ხელისუფლების შენარჩუნება.

შეიქმნება უმწვავესი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი და ამას მოჰყვება ხოლმე ზოგადად ძალიან ცუდი განვითარებები ქვეყნის შიგნით. ამას ან დაინახავს, ან დავანახებთ, სხვა ალტერნატივა არ არის! ამ გზით ხელისუფლების შენარჩუნება არის გამორიცხული! ეს თუ არ ესმის ივანიშვილს, გაიგებს აუცილებლად.

***— დღეს ოპოზიცია ისეთი ერთიანია, როგორც არასდროს. ფიქრობთ, რომ გაგრძელდება ეს ერთიანობა?***

— ჩვენი ერთობა ქნა ივანიშვილმა. რა თქმა უნდა, ეს ერთობა გაგრძელდება. სწორედ ეს მოახერხა ივანიშვილმა, რომ ოპოზიცია გააერთიანა. გააერთიანა რის ირგვლივ?! ჩვენ ერთიანი ხედვა გვაქვს იმაზე, რომ არჩევნები უნდა იყოს თანაბარი შესაძლებლობის მიმცემი ყველა პოლიტიკური ძალისთვის და არ უნდა იყოს ისეთი, რომელიც ყველა ვარიანტში ივანიშვილის გამარჯვებით მთავრდება.

ჩვენ შევთანხმდით და, რა თქმა უნდა, ამ საკითხში ბოლომდე გვექნება ერთიანობა.

***— ანუ აქ არაფერ შუაშია მაჟორიტარების ჯანყი და თავად ივანიშვილს უნდოდა ამ კანონპროექტის ჩაგდება?***

— რა თქმა უნდა, არ იყო მაჟორიტარების ჯანყი. როგორ შეიძლებოდა მაჟორიტარების ჯანყი ყოფილიყო. ვისი, ხუნდაძის და სულხან მახათაძის ჯანყი იყო ივანიშვილის წინააღმდეგ? ეს რა ბოდვაა, ვის სჯერა ამის საერთოდ?! ეს ხომ არის თვალში ნაცრის შეყრა საზოგადოებისთვის. არავინ არ ჭამს ამას. გამორიცხულია, რომ ეს ვინმემ დაიჯეროს და ამის არც არავის სჯერა.

სწორედ ამ ტყუილისთვის დაისჯება ივანიშვილი. ასეთი მასშტაბური ტყუილი არც საზოგადოებისთვის და არც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისთვის საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არასოდეს უთქვამს. გაბედა ივანიშვილმა?! დაინახავს, რა შედეგს მოიმკის ამის შედეგად.

***— იყო მოლოდინი, რომ მცირედ დათმობაზე მაინც წამოვიდოდნენ.***



— არა, იმიტომ, რომ არ არის ადეკვატური და, აქედან გამომდინარე, მისგან არანაირი მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. მხოლოდ ჩვენი ერთიანობით და ჩვენი მშვიდობიანი პროტესტით უნდა მივაღწიოთ ჩვენს მიზანს. სხვა გამოსავალი არ არის.

***— რამდენად მართავს სიტუაციას ოპოზიცია? პროვოკაციები ხომ არ იქნება აქციის მონაწილეების მხრიდან, რის შედეგადაც ხელისუფლებას მიეცემა საბაბი აქციის დარბევის და მომიტინგეების დაჭერის?***

— არ სჭირდება მაგას პროვოკაცია, ისედაც მარტივად იჭერს ხალხს ჩვეულებრივი საბაბის გარეშე. თქვენ ნახეთ, როგორ დაიჭირეს ახალგაზრდები, რომლებსაც არანაირი დანაშაული არ მიუძღოდათ, მშვიდობიანად იდგნენ პარლამენტის წინ. არანაირი საბაბი არ არის ივანიშვილისთვის საჭირო, თუ მოინდომებს, ამას ისედაც გააკეთებს.

ამიტომ მარტივი არჩევანი გვაქვს – ან ვიბრძვით ჩვენი თავისუფლებისთვის, ან ვაღიარებთ იმას, რომ გადავედით ავტორიტარულ, არადემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც ერთი ადამიანი გვმართავს, სანამ იქნება ცოცხალი.

ეს ჩემთვის მიუღებელია, დარწმუნებული ვარ, ასევე მიუღებელია ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის!

ჩვენ ვართ ერთიანი და ვიბრძვით ბოლომდე!

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილის პროვინციულ სპექტაკლში რეჟისორიც და მსახიობებიც არაპროფესიონალები არიან“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ფუთონ შეთქმულების მორიგი თეორია, გადატრიალება, გადმოტრიალება, მიშას მხრიდან გვირაბის თხრა ბომბეიდან ლონდონამდე და ისევ ამ საგიჟეთზე აგებენ დღის წესრიგს. სხვა ვერაფერი ვერ მოძებნეს და ყველაფერი ისევ სისხლიან 9 წელზე გადართეს.

***— აქვთ ამის მორალური უფლება, რომ ისევ ნაციონალურ მოძრაობაზე გველაპარაკონ?***

— სიმართლე გითხრათ, ამის მორალური უფლება არ აქვთ. იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი იმ დანაშაულისთვის, რისთვისაც ჩვენ ის ხელისუფლება მოვიშორეთ, გაიმეორეს. გარდა ამისა, დღეს საზოგადოების პრობლემა გუშინდელი პრობლემა კი არ არის, არამედ აწმყო. ხელისუფლება კი მუდმივად ცდილობს ჯიუტად, რომ წარსულით გვაცხოვროს. ნაცვლად იმისა, რომ პოზიტიურ დღის წესრიგს ქმნიდეს.

ბუნებრივია, მათ ამის მორალური უფლება აღარ აქვთ. მით უმეტეს, რომ ნაციონალური მოძრაობის ნახევარი დიდი ხანია „ქართულ ოცნებაშია“. სხვათა შორის, ამ მაჟორიტარების ჩათვლით, რომლებიც, ასე რომ ვთქვათ, „ქვეყნის სტაბილურობაზე“ ფიქრობენ. ასეთ საგიჟეთში ვცხოვრობთ.

***— საზოგადოებამ რა უნდა გავაკეთოთ, გარდა იმისა, რომ არჩევნებზე გამოვხატავთ ჩვენ პოზიციას?***

— უნდა მოვახდინოთ ვითარების ობიექტურად აღწერა. ჩვენ მეტი არაფერი არ შეგვიძლია. ჩვენ ხალხს უნდა ავუხსნათ, რეალობაში რა ხდება, დანარჩენი ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

***— რევოლუციურ სცენარს ხომ არ ხედავთ?***

— ფაქტობრივად, იქიდან გამომდინარე, რომ ყველაფერი ისევ კონფრონტაციისკენ წავიდა, არანაირი კონსენსუსის და დიალოგის სივრცე არ არსებობს და ყველაფერი დაიკეტა, ასეთ ვითარებაში ყველანაირი სცენარი მოსალოდნელია.

# ლაშა ჩხარტიშვილი: „როცა სააკაშვილი მიჭერდა, კალაძე მისი თავგადაკლული აგიტატორი იყო“

## „ოზურგეთში ივანიშვილის ძმა მებრძოდა, რომელიც ნაციონალების კანდიდატს უჭერდა მხარს“

ნათია ხურცილავა

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლაშა ჩხარტიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— „ქართული ოცნების“ ახალ ინიციატივას, რომელიც კახა კალაძემ გაახმოვანა, გაერთიანებული ოპოზიცია როგორ პასუხობს?***

— კახა კალაძემ ოპოზიციის ნაწილს უტიფარი გარიგება შესთავაზა. ფაქტიურად შემოთავაზებულია: პრინციპების გაყიდვა, ღირებულებების გაყიდვა, სამშობლოს გაყიდვა და დიქტატურის დაკანონება. ეს იყო სამარცხვინო წინადადება, რომელიც ივანიშვილმა კალაძის პირით გაახმოვანა.

რეალურად ხელისუფლება არჩევნების გაუქმებას ცდილობს. სულ მცირე, ივანიშვილი ცდილობს, ნახევარი პარლამენტი წინასწარ ჯიბეში ჩაიდოს. არც ერთმა ხელისუფლებამ არ დათმო ყაჩაღი მაჟორიტარები, რომლებიც ყველა ხელისუფლებას ხმების ბეღელს უვსებენ. ამიტომ, ახლა ბრძოლის ხაზი გადის იმაზე, ამ ქვეყანაში ერთხელ და საბოლოოდ იქნება თუ არა სამართლიანი არჩევნები და იქნება თუ არა დემოკრატია.

ივანიშვილი ბოლშევიზმის გაგრძელებას გვთავაზობს, ჩვენ კი ვამბობთ, რომ ბოლშევიზმი ამ ქვეყანაში უნდა დასრულდეს. ერთი პარტიის, ერთი ადამიანის ჭკუაზე ქვეყნის სიარული უნდა დასრულდეს.

***— ხელისუფლება მრავალფეროვან პარლამენტზე საუბრობს ამ შემოთავაზებაში თუ ნაციონალური მოძრაობა და მასთან ასოცირებული პარტიები უარს იტყვიან მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატების წარდგენაზე.***

— ამ შემოთავაზების განხილვა სასაცილოც კი არ არის, არათუ მასზე რეალური მსჯელობა. რა გარანტიაა, რომ კიდევ არ გადააგდებენ ხალხს?!

ნაციონალურ მოძრაობაზე კალაძის მხრიდან საუბარი სამარცხვინოა, უტიფრობის ზენიტია და მეტი არაფერი. ივანიშვილი 2011 წლამდე აფინანსებდა და მხარდამჭერი იყო ნაციონალური მოძრაობის. მისი ძმა ჩემ წინააღმდეგ იბრძოდა ოზურგეთის ოლქში, როდესაც მე კენჭს ვიყრიდი ნაციონალური მოძრაობის დროს.

***— თავად იყრიდა კენჭს?***

— არა, ადიკო ივანიშვილი პირადად აგიტირებდა სააკაშვილის კანდიდატის მხარდასაჭერად.

***— ისე, ოპოზიციის შეხვედრებზე გვერდიგვერდ სხედხართ ნაციონალური მოძრაობის ყოფილ თუ მოქმედ ლიდერებთან, ეს გიქმნით დისკომფორტს თუ არა?***

— მე სააკაშვილის დროს 9-ჯერ ვარ დაკავებული. სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ერთ-ერთი გამარჯვებული ქართველი ვარ. მე და ჩემი მეგობრები ყველა დროში ვაპროტესტებდით უსამართლობას, უკანონობას, ადამიანის უფლებების დარღვევებს და, თუ საჭირო გახდა, კიდევ გავაპროტესტებ ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში.

მე როდესაც სააკაშვილის უსამართლო გადაწყვეტილებებს და ადამიანის უფლებების დარღვევებს ვაპროტესტებდი და ამიტომ მაკავებდნენ, კახი კალაძე სააკაშვილის თავგადაკლული მხარდამჭერი და აქტიური აგიტატორი იყო.

ზარდიაშვილი, მურუსიძე, ნაციონალური მოძრაობის მთელი კოჰორტა კარგად გადმოიბარეს ივანიშვილმა და კალაძემ. მე კი არ ვამბობ, ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ ზურაბ ადეიშვილი კარგი ადამიანია. კარგად ახსოვს ხალხს კახა ოქრიაშვილს, რომელიც მაფიოზურ მაჟორიტართა სიმბოლოა საქართველოში, როგორ „აპრავებდა“.



მე ვიბრძოდი მაშინაც და ვიბრძვი დღესაც. ვიბრძვი უკეთესი საქართველოსთვის და ამ ბრძოლაში მონაწილეობენ დღეს ნაციონალური მოძრაობის ლიდერები. მონაწილეობენ გიგა ბოკერია, ნიკა მელია და სხვები, სხვა პარტიები.

დღეს პრობლემა ესენი კი არ არიან, ივანიშვილი და მისი ხელისუფლებაა. „ქართულ ოცნებას“ დღეს პირში სული უდგას არა საკუთარი დამსახურებებით, არამედ წინამორბედის ხარჯზე.

„შუა უნდა გაიკრიფოს“ – სწორედ ამას ემსახურებოდა. ერთადერთ ოპონენტად მას მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა აწყობდა. დღესაც ფიქრობს, რომ ასეა, მაგრამ თუ ასე გააგრძელებს, არ იქნება ასე.

დღეს რა ხდება: ყველა პოლიტიკური პარტია ერთიან ფორმატში ცდილობს მოიპოვოს ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – სამართლიანი არჩევნები. ეს არ არის ერთი ბლოკი და ვერც იქნება. აქ საუბარია – ყველა ერთის წინააღმდეგ!

***— თუ ივანიშვილი ვაბანკზე წავა, ოპოზიცია რას პასუხობს? რისთვის ხართ მზად, ოპოზიციის შეკრებებზე რა სცენარები განიხილება?***

— კალაძის პირით ივანიშვილმა გვითხრა, რომ არც 2024 წელს გადავა პროპორციულ არჩევნებზე. ეს ვაბანკზე მეტია! უკვე კონსტიტუციაში შავით თეთრზე ჩაწერილზე გვეუბნება, მასაც, თუ მომინდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენებო.

ამიტომ დღეს ჩვენი ბრძოლა გადის იმაზე, რომ ქვეყანაში გვექნება ერთი კაცის მმართველობა – დიქტატურა თუ გვეყოლება სამართლიანი არჩევნების შედეგად არჩეული დაბალანსებული ხელისუფლება.

მე არ მინდა შუააზიური ტიპის დიქტატურაში ცხოვრება. მე მზად ვარ, ამის წინააღმდეგ ვიბრძოლო. რაც შეეხება დაჭერას და მსგავსი ტიპის რეპრესიებს, ამას შეჩვეული ვარ.

ეს ბრძოლა ასევე გადის არაღდგენილი სამართლიანობის დანაპირების შესრულებაზეც, რადგან ამ დღეებში აპირებენ, იმ მოსამართლეებს უყარონ კენჭი, რომლებიც „ქართული ოცნების“ ამ დანაპირებსაც ასამარებენ.

სწორედ სამართლიანი არჩევნებით უნდა მოვიპოვოთ სამართლიანი სასამართლოც.

# „სანიკიძისა და გელბახიანის სააკაშვილთან შეხვედრის მსგავსი მოვლენა პოლიტიკას არ ახსოვს“

## ბიძინა გუჯაბიძე: „პარტიებმა, რომლებიც ნაციონალებთან ერთად დადგნენ, უკვე დაკარგეს ამომრჩევლის ნაწილი“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს პოლიტიკაში დინამიკური მოვლენები ვითარდება. ყოფილი დეპუტატის, კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლის, ბიძინა გუჯაბიძის აზრით, მიმდინარე პროცესებიდან ზოგი ჩვეულებრივი და ტრადიციულია, ზოგი კი – გამაოგნებელი. „ახალი თაობა“ ბიძინა გუჯაბიძეს ესაუბრა.

**ბიძინა გუჯაბიძე:**

– მე და ჩემი თანაპარტიელები ეროვნული მოძრაობიდან აქტიურად ვართ ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. პოლიტიკაში ბევრი რამ მინახავს, უამრავ ბრძოლაში მიმიღია მონაწილეობა. ხანდახან ერთმანეთის გვერდით დავმდგარვართ ისინი, ვინც თანამოაზრეები არ ვართ. პოლიტიკაში შეიძლება ათასი რამ მოხდეს, მაგრამ იმან, რაც კიევიდან ვიხილეთ, სახტად დამტოვა.

***– ადრე დაპირისპირებული ხალხის შეყრა წარმოუდგენლად მიგაჩნიათ?***

– სანიკიძისა და გელბახიანის სააკაშვილთან შეხვედრის მსგავსი მოვლენა პოლიტიკას არ ახსოვს.

***– სანიკიძე აცხადებს, რომ შეხვედრის მონაწილეები გადაახტნენ საკუთარ „მე“-ს და ეგოიზმს. მისი თქმით, გამოსავალი ერთიანობაშია. სააკაშვილიც ამბობს, რომ ერთიანობას ალტერნატივა არ აქვს.***

– ამ განმარტებებს მნიშვნელობა არა აქვს. არ არის ძნელი გამოსაცნობი, რომ ამ სამეულმა ხელისუფლების შეცვლაზე ისაუბრა. რევანშისტული გეგმები სააკაშვილსა და ნაციონალური მოძრაობის განშტოებებს ადრეც ჰქონდათ. ეს ძალები ახლაც ემზადებიან რევანშისათვის. სანიკიძე ადრეც ამბობდა, რომ სააკაშვილთან ჩასვლას აპირებდა. მიუხედავად ამ ანონსისა, მაინც თავზარი დამცა ამ კადრებმა.

სანიკიძე და მისი პარტია რამდენიმე წლის წინ ჩვენი კოალიციის წევრი იყო. ამით სანიკიძემ თავისი ბიოგრაფია გაიუმჯობესა, თუმცა სააკაშვილთან გარიგებით საბოლოოდ გაიფუჭა სახელი. გელბახიანს რომ ებრძოდა სააკაშვილი, ესეც ცნობილია. საინტერესოა, როგორ მიმართავდნენ ყოფილი მტრები ერთმანეთს? როგორ გაიხსენეს ის, რომ ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებული?



***– სხვა ერთმანეთისთვის მიუღებელი ოპოზიციაც მართავს ერთად აქციებს და კონსულტაციებს. ამას ხალხი უფრო გაგებით ხვდება?***

– ვერ ვიტყოდი, რომ მთელი საზოგადოება ამას გაგებით ხვდება. ნაწილობრივ, ესეც კიევის შეხვედრის ანალოგიური მოვლენაა. სოციალური ქსელი სავსეა ბურჯანაძისა და ბესელიას მომხრეების უარყოფითი გამოხმაურებებით. ხალხს არ ესმის, რა საჭირო იყო რუსთაველზე გიგი უგულავასთან ერთად ხელკავით მისვლა და ერთობლივი ჯაჭვები. ამ პოლიტიკოსებს უწევთ თავის მართლება და უკან დახევა. ამ პარტიებმა, რომლებიც ნაციონალებთან ერთად დადგნენ, უკვე დაკარგეს ამომრჩევლის ნაწილი.

***– მოთხოვნებს, რომლებსაც ოპოზიცია საზოგადოებასთან ერთად აყენებს, ფართო მხარდაჭერა აქვს.***

– იყო მოლოდინი, რომ 2020 წლის არჩევნები პროპორციული წესით გაიმართებოდა. ეს წინადადება ჩავარდა. ამაში მაჟორიტარებს ვადანაშაულებ. პარტიების უარყოფითი რეაქცია გასაგებია. მიუღებელია, რომ პოლიტიკურ ძალებს ბოღმა და შური ამოძრავებთ და ეს აერთიანებთ.

***– „ქართულმა ოცნებამ“ ამ დანაპირების გადათქმით ხალხის ნდობა დაკარგა.***

– ნაწილობრივ, ნდობა დაკარგა „ქართულმა ოცნებამაც“ და ბიძინა ივანიშვილმაც. პოლიტიკაში წინსვლაც ხდება და უკუსვლაც. ეს ხელისუფლებისთვის მძიმე გადაწყვეტილებაა.

***– ამან თქვენს თანაპარტიელებსაც დაატოვებინა უმრავლესობა და საპარლამენტო თანამდებობები.***

– დიახ. ამაზე ზოგიერთი ქილიკობს კიდეც.

***– უმრავლესობიდან დეპუტატების, მათ შორის, კონსერვატორების გამოსვლას, საზოგადოება კარგად შეხვდა.***

– პოლიტიკოსებში ამაზე უარყოფითი გამოხმაურება არ შემინიშნავს. არაპოლიტიკოსებში დაიწყეს ქირქილი. ზვიად ძიძიგურს ამტყუნებენ იმაში, რომ 90-იან წლებში რკინიგზა გადაკეტა, თან ამუნათებენ, ამ აქციით საბჭოთა კავშირს ანგრევდაო. მაშინდელი ამბები ბევრმა არ იცის. ამიტომ, იძულებული ვარ, განმარტებები გავაკეთო.

ზვიად ძიძიგური, ისევე, როგორც ეროვნული მოძრაობის ლიდერები, ეწინააღმდეგებოდნენ ერთპარტიულ არჩევნებს. იმისათვის, რომ მიგვეღწია მრავალპარტიული არჩევნებისათვის, საჭირო გახდა აქციები. ამან შედეგი გამოიღო და ასეთი არჩევნები გაიმართა. ამის შედეგად მოვიდა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“.

კონსერვატორებს ამუნათებენ ისინი, ვინც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების მოწინააღმდეგეა. სხვებმა ისტორია არ იციან.

***– დღევანდელ მდგომარეობას დავუბრუნდეთ. აქციები არ წყდება.***

– ჩვენც არ მოგვეწონა, რომ დაპირებული პროპორციული სისტემის კანონპროექტი ვერ გავიდა. თუმცა, ეს ტრაგედიად არ უნდა ჩავთვალოთ. შერეული სისტემა არადემოკრატიული არ არის. ამის გამო სახელმწიფო დაწესებულებების დაბოქლომება არასერიოზულია.

ამ ოპოზიციონერებში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ყოველთვის კომიკოსები იყვნენ. შალვა ნათელაშვილზე ბევრი წლის წინაც ვამბობდი, რომ კომიკურად იქცევა. ამ კაცს თავისი ქცევის სტილი და წარმოდგენები არ შეუცვლია.

***– აქციებში ახალგაზრდობაც მონაწილეობს. პოლიტიკოსები ამბობენ, რომ ბევრმა აქტიურმა ახალგაზრდამ არ იცის, რა ხდებოდა 8 და 10 წლის წინ.***

– მართლაც, ზოგიერთი მათგანი მაშინ დაიბადა, როცა მე და სხვა თანამებრძოლები ციხიდან გამოგვიშვეს. ამ ახალგაზრდებს ქუჩის აქციების რომანტიკა ხიბლავთ. ისინი თავისებურ ხიბლში ექცევიან. ეს არის საკუთარი თავის დამკვიდრების, ასევე ერთმანეთის გაცნობის და მოწონების ადგილი. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ აქციები შეიძლება უშედეგო იყოს.

***– ამ აქციებს რა შედეგი ექნება?***

– ვფიქრობ, რომ მოთხოვნა 2020 წლის არჩევნებისათვის პროპორციული სისტემის დამტკიცების შესახებ ვერ შესრულდება.

***– და ხალხიც იმედგაცრუებული დარჩება?***

– ამომრჩეველი არ დარჩება იმედგაცრუებული და არჩევანს გააზრებულად გააკეთებს. ხალხს არ მოსწონს დაპირების შეუსრულებლობა. მისთვის პროპორციული არჩევნები მთავარი არ არის.

***– როცა მმართველი პარტია ამ ინიციატივას აყენებდა, მაშინ ასევე აქციები იყო და მისი მონაწილეები პროპორციულ არჩევნებს მოითხოვდნენ.***

– ამ ადამიანებსაც არ ჰქონდათ პოლიტიკური გამოცდილება. არა მგონია, მოსახლეობის მთავარი პრობლემა პროპორციული არჩევნები იყოს. მმართველმა პარტიამ ამ ეტაპზე ნდობა დაკარგა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხალხს აქციების მონაწილე ოპოზიცია უნდა.

თუ ამ ოპოზიციამ სხვა სისულელეებიც ჩაიდინა, ამომრჩევლის ნაწილი „ქართული ოცნებისკენ“ შებრუნდება. მოსახლეობის უმეტესობა ცინიკოსი და რევანშისტი ნაციონალებისა და მათთან გაერთიანებული პოლიტიკოსების გამარჯვებას არ მიესალმება.

# რა იგეგმება ოკუპირებულ გალის რაიონში ქართველების წინააღმდეგ?

გულიკო ბალაძე

ოკუპირებული გალის რაიონის ე.წ. გამგებელი თემურ ნადარაია, რომელიც ოკუპანტებს ემსახურება, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ გარკვეული დივერსიული ინიციატივებით გამოდის. ამჯერად მისი სამიზნე გალის ქართული სკოლებია, სადაც ქართველები ქართულ ენას დიდი შიშითა და შეზღუდვით მაინც სწავლობენ. თემურ ნადარაია რუსების დავალებით ახლა თურმე ქართულის მეგრულით ჩანაცვლებას გეგმავს.

– იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მეგრელები არიან, რომლებიც მეგრულ ენაზე საუბრობენ, ჩვენ შეგვიძლია შევიტანოთ მეგრული ენის სწავლება ქართულის ნაცვლად, – განაცხადა ნადარაიამ,

მისი სამიზნე გალის ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტებიც არიან, რომლებიც აფხაზეთიდან განათლების მისაღებად გადმოდიან:

– გვინდა სტუდენტებს ვუთხრათ, რომ მათ უფლება აქვთ, სასწავლებლად ქართული უნივერსიტეტები აირჩიონ, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ ისინი დაკარგავენ ბინადრობის ნებართვას და ვიზაზე ჩამოვლენ აფხაზეთში, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეები, – აცხადებს ნადარაია.

რა მიზანი აქვთ სეპარატისტებს და რუსებს? რას გეგმავენ ოკუპირებული გალის რაიონში ქართველების წინააღმდეგ? „ახალი თაობა“ კომენტარისთვის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ჯემალ გამახარიას** ტელეფონით დაუკავშირდა, რომელიც ზუგდიდიდან თბილისში მოემგზავრებოდა.

***– ბატონო ჯემალ, ე.წ. გალის გამგებელმა ნადარაიამ, რომელიც გახლავთ ქართული გვარის მატარებელი კაცი, განაცხადა, რომ აფხაზეთში, გალის რაიონის სკოლებში, ქართულის მაგივრად მეგრულის სწავლება უნდა შემოვიღოთო. ეს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ სეპარატისტებისა და ოკუპანტების მხრიდან დაგეგმილი კიდევ ერთი დივერსიაა?***

– დიდი ხანია ისინი ასეთ განცხადებებს აკეთებენ, მაგრამ ვერაფერი შემოიღეს. დარწმუნებული ვარ, ვერც შემოიღებენ, მაგრამ ამ პიროვნების, ნადარაიას განცხადებაში ბევრი სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რამ არის, რომელიც მისგან არ მომდინარეობს. რაც ნადარაიამ თქვა, სუფთა რუსული პროექტია, რომლის განხორციელებას საუკუნენახევარზე მეტია ცდილობენ, მაგრამ ვერ განახორციელეს და ვერც ვერასოდეს განახორციელებენ.

***– უფრო მნიშვნელოვანი რა არის მის განცხადებაში?***

– მნიშვნელოვანია სხვა რამ, რაზეც ბატონი ნადარაია საუბრობს. ის, ცხადია, ახორციელებს ოკუპანტის პოლიტიკას. ფაქტობრივად, ეს ადამიანი ცდილობს განდევნოს ქართველები გალის რაიონიდან ან გადააგვაროს. ამასთან დაკავშირებით მან ბევრი რამ თქვა. ჯერ ერთი, დაგეგმილი აქვთ, სწავლება იყოს რუსულად და აფხაზურად. მეგრული ნადარაიამ სასხვათაშორისოდ თქვა, თორემ ამას სერიოზულ მნიშვნელობას არავინ ანიჭებს. მათთვის მთავარია, გალის რაიონის მოსახლეობამ სკოლებში ისწავლოს რუსულად და აფხაზურად, შემდეგ კი სწავლა ან სოხუმის უნივერსიტეტში, ან რუსეთის უნივერსიტეტებში გააგრძელონ. ვინც აქეთ, საქართველოს უნივერსიტეტებში დააპირებს სწავლას, მათ უამრავი პრობლემა ექნებათ. ამის შესახებ ნადარაია გასაგებად საუბრობს.

ჩვენს მოსახლეობას აფხაზეთში ბინადრობის უფლება აქვს, მაგრამ მათ დე ფაქტო კანონში ნათქვამია, რომ სპეციალურად ქართველებისა და სტუდენტებისთვის არის გაკეთებული. მათ ე.წ. კანონში მითითებულია, რომ თუ პირი 6 თვე აფხაზეთში არ იმყოფებოდა, მას უკვე ბინადრობის უფლება უუქმდება და მხოლოდ ვიზებით შეუძლია შევიდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე, ანუ სტუდენტი, რომელმაც 1 წელი ისწავლა თბილისში. ის უკან ვერ დაბრუნდება.

***– ნახევარ წელიწადში რომ ჩავიდეს?***

– თუ ყოველ ნახევარ წელიწადში ჩავა იქ და შეინარჩუნებს ე.წ. ბინადრობის უფლებას, ქართული საუნივერსიტეტო განათლებით ის აფხაზეთის ტერიტორიაზე სამსახურს ვერ იპოვის, ე.ი. ისევ და ისევ მან ის ტერიტორია უნდა დატოვოს, თუ უნდა სამსახური. თუ უნდა, იქ დარჩეს და იცხოვროს, იქ უნდა იყოს, როგორც მონა და იმუშაოს ფიზიკურად. ეს არის მის ინტერვიუში უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ვითომ მეგრულ ენაზე სწავლება, რომლის შემოღებასაც საუკუნენახევარია რუსები ცდილობენ, მაგრამ ვერა და ვერ მიაღწიეს ამას.



ამდენად, ოკუპანტები და სეპარატისტები ქართველ მოსახლეობას იქიდან დევნიან, სანამ ისინი ასიმილაციას არ დაექვემდებარებიან.

***– აფხაზეთში 1992-93 წლების ომის შედეგი, ქართველთა გენოციდისა და ეთნოწმენდისა, კიდევ უფრო დიდი პრობლემა, ქართველების აფხაზებად ასიმილირება ხომ არ არის, რაც მანამდეც ხორციელდებოდა? ქართველთა გააფხაზება, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ე.წ. გამგებელი ნადარაიაცაა, დივერსიაა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. მისი ხელით რუსები თავის საქმეს აკეთებენ.***

– თქვენ აბსოლუტურად სწორი ბრძანდებით. ნადარაია არის გადაგვარებული პიროვნება, რომელიც ოკუპანტის პოლიტიკას ახორციელებს.

***– ეს პროცესი ალბათ კიდევ გრძელდება. ამ სიტუაციაში როგორ შეგვიძლია ამას ვებრძოლოთ?***

– ამ ეტაპზე ეს არის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი. მინდა გითხრათ, რომ ნადარაიას ეს „შედევრი“ (კარგი იქნება, თუ ჩემი ნათქვამი ნადარაიამდე მივა) ინტერვიუ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას უკვე მაგიდაზე უდევს და აუცილებლად ჰპოვებს ასახვას საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებში, როგორც დამადასტურებელი დოკუმენტი იმის თაობაზე, თუ რა პოლიტიკას ახორციელებს ოკუპანტი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როგორ არღვევს ის ადამიანის ელემენტარულ უფლებებს გალის რაიონის ტერიტორიაზე.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს დოკუმენტი ძალიან მალე გამოყენებული იქნება საერთაშორისო სასამართლოებში, როგორც მტკიცებულება. ბევრჯერ ვთქვი, რომ ჩვენ საერთაშორისო სასამართლოებში უნდა ვიჩივლოთ-მეთქი, მაგრამ ამას მიზეზთა გამო ვერ ვახერხებდით.

ახლა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ჩვენ უკვე გვყავს მაღალკვალიფიციური იურისტები, რომლებიც დღე და ღამ სხედან და სხვადასხვა სარჩელებს ამზადებენ, სადაც ბატონ ნადარაიას ეს ე.წ. ინტერვიუც „საპატიო“ ადგილს დაიკავებს. ჩვენ მხოლოდ ამ გზით, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით საერთაშორისო სასამართლოთი შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი მოსახლეობა. ჩვენ სხვა პროექტებიც გვაქვს, ვახორციელებთ კიდეც, რომელიც გალის რაიონის მოსახლეობას საშუალებას აძლევს, ისწავლონ ქართულ ენაზე.

***– აფხაზეთში საერთო მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია თუ გაქვთ?***

– ჩვენ დეტალური ინფორმაცია გვაქვს აფხაზეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. ვფიქრობ, ბატონ ნადარაიას ინტერვიუ სწორედ იმ ვითარებით არის გამოწვეული, რაც იქ არის. როგორც ნადარაია ფიქრობს, ისე სულაც არ ფიქრობს აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა.

***– აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა რას ფიქრობს?***

– თქვენ ალბათ ყურადღება მიაქციეთ, რომ ინტერვიუში მხოლოდ განათლებაზე კი არა, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზეც არის საუბარი. ბატონი ნადარაია ამტკიცებს, რომ ყოვლად დაუშვებელია სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ქართველებთან. ამის სამტკიცებლად იქ მას სულელური და ბრიყვული არგუმენტები მოჰყავს, მაგრამ ის არ ემთხვევა აფხაზური მოსახლეობის ინტერესებს.

ბევრი აფხაზი (ასობით და ათასობით ადამიანი) გადმოდის აქეთ. აქ ის პოულობს იმის საშუალებას, რომ მცირე ბიზნესი აწარმოოს, აქ რაღაც შეიძინოს და იქ გაყიდოს ან პირიქით, იქიდან აქეთ წამოიღოს და ენგურს გამოღმა გაყიდოს. ბატონ ნადარაიას სურს თუ არა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მიმდინარეობს.

ჩვენ ყველანაირად ხელი უნდა შევუწყოთ ნდობის აღდგენის შერიგების პოლიტიკას, სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. ქართველებსა და აფხაზებს შორის ადამიანურ დონეზე ურთიერთობა უნდა აღდგეს. ამ ურთიერთობებში ნადარაიების ადგილი რომ არ იქნება, ეს მან ძალიან კარგად იცის. ამიტომ, საცოდავმა, წინასწარ შემოკრა განგაშის ზარები.

***– ამბობენ, კადიროვის ე.წ. შეიარაღებული ნაწილები გადასროლილი იქნა აფხაზეთში. ეს რას შეიძლება ემსახურებოდეს?***

– კადიროვი საკმაოდ რთული პიროვნებაა. ვფიქრობ, რუსებს სანანებელი ექნებათ, რასაც ისინი დღეს აკეთებენ ჩეჩნეთსა და აფხაზეთში. ნამდვილად იყო თუ არა გადმოსროლილი კადიროვის შეიარაღებული ნაწილები აფხაზეთში და რას ემსახურებოდა მათი აფხაზეთში გადმოსროლა, ამას ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ. არ არის გამორიცხული, კადიროვის ნაწილები აფხაზეთში მართლა იყოს გადმოსროლილი. კვირაში ერთხელ რაღაც სწავლებებს ატარებენ და ალბათ მათ მიიღეს მონაწილეობა იმ სწავლებებში.

გარდა ამისა, ჩემთვის დანამდვილებით არის ცნობილი, რომ რუსების ხშირი გატაცებები ხდება, რის გამოც, ბატონი კადიროვი თავისი კავშირებით, თავისი შეიარაღებული ჯგუფებით არაერთხელ ჩამოსულა აფხაზეთში და რუსების დავალებით გატაცებული ადამიანები დაუხსნია.

***– ბოლო დროს დიდი ხმაური იყო კრიმინალების თარეშთან დაკავშირებით?***

– გუშინწინ მოხდა გახმაურებული მკვლელობა. ორი ე.წ. კანონიერი ქურდი მოკლეს, კიდევ უდანაშაულო ახალგაზრდა ქალბატონი შეეწირა, რამდენიმე დაჭრილია. ამასთან დაკავშირებით ხაჯიმბამ ე.წ. უშიშროების საბჭოს სხდომაც მოიწვია. ვინც თავს დაესხა, ისინიც კრიმინალები არიან, ვისაც დაესხნენ, ისინიც და ვინც მათ საქმეს განიხილავს, ისინიც კრიმინალები არიან.

## გიორგი სულაშვილი 20 ივნისის მოვლენებისას დაზარალებულად ცნეს



საქართველოს გენერალური პროკურატურა 20-21 ივნისის საქმეზე განცხადებას ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, დაზარალებულად კიდევ ერთი პირი, გიორგი სულაშვილია ცნობილი.

„2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიღების და შესაძლო დანაშაულებრივ ეპიზოდებთან დაკავშირებით დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, დაზარალებულად არის ცნობილი გიორგი სულაშვილი.

გამოძიების ფარგლებში ჩატარებულია ასობით საგამოძიებო მოქმედება – გამოკითხულია 700-ზე მეტი პირი, მათ შორის სამართალდამცავები. გამოკვლეულია პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების ამსახველი შესაბამისი ვიდეომასალა. დანიშნულია ექსპერტიზები.

რაც შეეხება მიმდინარე გამოძიების ფარგლებში სხვა პირების დაზარალებულად ცნობის საკითხს, საგამოძიებო პროცედურების დასრულების შემდეგ თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით მიღებული იქნება შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილება, რის შესახებაც საზოგადოებას პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია“ – ნათქვამია განცხადებაში.

11 ნოემბერს პროკურატურამ დაზარალებულად მაია გომური, ომარ სეხნიაშვილი და მირზა ლიპარტელიანი ცნო..

20 ივნისს, საღამოს, პარლამენტთან მშვიდობიანი აქციის შემდეგ, რაც რუსი დეპუტატის სერგეი გავრილოვის საქართველოს პარლამენტის სპიკერის სკამში გამოჩენას მოჰყვა, მომიტინგეების ნაწილმა შენობაში შეჭრა ცადა.

სპეცრაზმმა აქციის დაშლა დაიწყო და რამდენჯერმე გამოიყენა ცრემლმდენი გაზი, წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები.

შედეგად საავადმყოფოში გადაიყვანეს 240 ადამიანი, მათგან 80 სამართალდამცველი, 4 ადამიანს თვალი დაუზიანდა, ერთმა მოქალაქემ და ერთმა სამართალდამცველმა კი თვალი დაკარგა.

## დიდუბეში 2 ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს




24 ნოემბერს დიდუბეში 2 ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს.

მათ ჭრილობები ცივი იარაღით წყალტუბოს ქუჩაზე მდებარე მარკეტში მიაყენეს.

შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. თვითმხილველების ინფორმაციით, დაჭრა შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო და საპატრულო ეკიპაჟები. დაჭრილები საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმები მათ მდგომარეობას სტაბილურად აფასებენ.

– პაციენტს მარცხენა მხრის სახსრის არეში ორი ნაკვეთი ჭრილობა აღენიშნება. ზოგადი მდგომარეობა სტაბილურია. მიმდინარეობს დამატებითი კვლევები. იმყოფება ემერჯენსის განყოფილებაში. შესაბამისი მკურნალობის შემდეგ მოხდება მისი ბინაზე გაწერა, – აღნიშნა ექიმმა მზია დევდარაიძემ ერთ-ერთი პაციენტის შესახებ საუბრისას.

პოლიციამ ადგილზე სავარაუდო დამნაშავეები დააკავა.

მომხდარზე გამოძიება 117-ე მუხლით მიმდინარეობს რაც განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

## მიხეილ კალანდია სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა



გუშინ, 25 ნოემბერს, ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მიხეილ კალანდია სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა.

კალანდიამ სასამართლოსთვის გაგზავნილ განცხადებაში მიუთითა, რომ მას სხდომაზე არ სურდა დასწრება და რომ მის უფლებადამცველს ნდობას უცხადებდა.

მიხეილ კალანდიას ადვოკატმა ზურაბ თოდუამ სხდომის შემდეგ განაცხადა, რომ მიხეილ კალანდიას საქმეზე სახალხო დამცველმა სასამართლო პროცესის მონიტორინგი აღადგინა.

– სახალხო დამცველმა ამ საქმეზე მონიტორინგი აღადგინა, რასაც მივესალმები. სახალხო დამცველთან ერთად მოგვიწევს იმ დარღვევების დაფიქსირება, რაც ხდება.

ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო თავად ბრალდებული პროცესზე არ გამოცხადებულა. თუმცა, წარმოდგენილი იყო მისი განცხადება, სადაც ის ითხოვდა, მის გარეშე გაგრძელებულიყო სასამართლო განხილვა. ნამდვილი მიზეზის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია არ გამაჩნია. ხვალ დილიდან შევამოწმებ ფაქტობრივ გარემოებებს, – განაცხადა თოდუამ.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე, 5 მოწმის ნაცვლად, ბრალდების მხარემ 3 მოწმე დაკითხა.

საქმის პროკურორი ბესიკ ქვარცხავა აცხადებს, რომ მოწმეებმა სასამართლოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდეს.

– მოწმეთა შორის, ერთ-ერთი პირი გახლდათ სწორედ ის მოწმე, რომელმაც 2017 წლის პირველ დეკემბერს მომხდარი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ბრალდებული მ.კ. და ამ დანაშაულში მსჯავრდებული გ.ჯ. შემთხვევის მიმდებარე ტერიტორიიდან წამოიყვანა და მიიყვანა კალანდიების სახლის მიმდებარედ.

მან დაადასტურა ზემოხსენებული ფაქტი ზედმიწევნით.

რაც შეეხება დაცვის მხარის განცხადებებს, თითქოს, რაიმე სახის დარღვევებს აქვს ადგილი მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში და სწორედ ამის იდენტიფიცირება უნდა მოახდინოს სახალხო დამცველმა, ჩვენ ნათლად და მკაფიოდ ვაცხადებთ, საერთოდ გაუგებარია, რომელ დარღვევებზე საუბრობს დაცვის მხარე.

ამასთან, დასწრების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან სახალხო დამცველის ერთ-ერთი უფლებამოსილება გახლავთ, სასამართლოს მონიტორინგი განახორციელოს და შემდეგ გააკეთოს შესაბამისი დასკვნები. დაველოდები მათი მხრიდან კონკრეტულ შეფასებას, კონკრეტულ დასკვნას, – განაცხადა ქვარცხავამ.

შემდეგი სასამართლო სხდომა 27 ნოემბერს, 13:00 საათზე გაიმართება.

მიხეილ კალანდია ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით სამართალდამცავებმა 2019 წლის 4 ივნისს დააკავეს.

მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 6 ივნისს შეეფარდა.

## ადვოკატი გელხაური: „არც ერთ პოლიციელს არ უთქვამს, რომ მაჩალიკაშვილი და ლორთქიფანიძე რომელიმე სამართალდამცავზე ძალადობდნენ“

– არც ერთ პოლიციელს არ უხსენებია მაჩალიკაშვილი, არც ერთს არ უთქვამს, რომ ბეჟან ლორთქიფანიძე რაიმე ფორმით რომელიმე სამართალდამცავზე ძალადობდა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს 20 ივნისს, პარლამენტთან მიმდინარე მოვლენებზე ბრალდებული ბეჟან ლორთქიფანიძის ადვოკატმა გიორგი გელხაურმა განუცხადა.

როგორც გელხაურმა აღნიშნა, მოწმე არ არსებობს, ვინც იტყვის, რომ ბეჟან ლორთქიფანიძემ სამართალდამცავებზე იძალადა.

– არც ერთი მოწმე და არც ერთი პოლიციელი არ ამბობს, რომ ბეჟან ლორთქიფანიძემ რაიმე სახის დაზიანება მიაყენა, ან ვინმეზე ძალადობდა. დღევანდელ პროცესზე დაკითხულ მოწმეების ჩვენებებს შორის აცდენა იყო. თუმცა, არც ერთს არ უხსენებია მაჩალიკაშვილი, არც ერთ მოწმეს არ უთქვამს, რომ ბეჟან ლორთქიფანიძე რაიმე ფორმით პარლამენტის წინ კანონს არღვევდა, ან რაიმე ფორმით ძალადობდა რომელიმე სამართალდამცავზე.

დარბევა რომ მოხდა, ეს პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა თქვა. ის, რომ იქ დაარბიეს ხალხი და დაზიანებები მიაყენეს, ყველამ კარგად ვიცით, თუმცა, მოწმეებიდან რომლებიც იკითხებიან, არც ერთი საუბრობს, რომ ეს ბეჟან ლორთქიფანიძემ გააკეთა.

ერთადერთი გადაწყვეტილება აქვს სასამართლოს მისაღები და ეს გამამართლებელი განაჩენი იქნება, – განაცხადა გელხაურმა.

საქმის პროკურორის, გიორგი მუკბანიანის განმარტებით, დღეს დაკითხულმა მოწმეებმა სასამართლოს ინფორმაცია მიაწოდეს, თუ როგორ მიმდინარეობდა 2019 წლის 20 ივნისს, პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე აქცია.

„სამართალდამცავებმა სასამართლოს ინფორმაცია მიაწოდეს უშუალოდ ძალადობრივი მოქმედებების შესახებ, ასევე პარლამენტის შენობის წინ განვითარებული მოვლენების შესახებ. მოწმეებმა განაცხადეს, რომ შესაბამისი გაფრთხილებები სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მხრიდან იყო, თუმცა, კონკრეტულად ვინ აკეთებდა ამ გაფრთხილებას, მათ ეს ინფორმაცია არ გააჩნიათ“ – განაცხადა მუკბანიანმა.

20 ივნისის აქციის საქმეზე ბრალდებული მორის მაჩალიკაშვილისა და ბეჟან ლორთქიფანიძის საქმეზე 3 პოლიციელი დაიკითხა.




შემდეგი სასამართლო სხდომა 12 დეკემბერს, 13:00 საათზე გაიმართება.

20 ივნისის საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობას გულისხმობს, რასაც თან ახლდა რბევა, ძალადობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მასზე თავდასხმა.

## განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ გ.შ.-ს 9 წელი და 9 თვე მიესაჯა

### მასზე გამოცხადებულია ძებნა

განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობაში ბრალდებული გ.შ. დამნაშავედ ცნო.

უწყების განცხადებით, გამოცხადებულია ძებნა და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები ბრალდებულის ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით.




სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2002 წლის 20 მაისს, ქ.თბილისში, ბაგებში მდებარე სტუდქალაქში, სტუმრად მყოფ დ.ც.-ს ურთიერთშელაპარაკება მოუხდა გ.შ.-სთან, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ჩხუბისას გ.შ.-მ დანით დ.ც.-ს გულმკერდის არეში ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიღებული დაზიანების შედეგად დ.ც. იმავე დღეს გარდაიცვალა.

ვინაიდან გ.შ. მიემალა გამოძიებას, მას ბრალდება 2002 წლის 27 მაისს დაუსწრებლად წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ძებნილი გ.შ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც 2012 წლის 28 დეკემბრის – საქართველოს კანონის „ამნისტიის შესახებ“ საფუძველზე შეუმცირდა და საბოლოოდ 9 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

გ.შ.-ს მიმართ გამოცხადებულია ძებნა და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მისი ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით.

## კასპელმა მამაკაცმა დაბადების დღეზე სანადირო თოფით თავი მოიკლა

კასპში 40 წლამდე მამაკაცის ცხედარი საკუთარ სახლში იპოვეს. მას თავში სანადირო თოფიდან გასროლილი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, რაც, სავარაუდოდ, სიკვდილის მიზეზი გახდა.

„დიანიუსის“ ინფორმაციით, შემთხვევა სოფელ ზემო ბარნაბიაანთკარში მოხდა.

მამაკაცს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა და მკვლელობის ვერსიას გამორიცხავენ. ცხედარი კი დაღუპულის დაბადების დღეზე იპოვეს.



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## ადიგენში 54 წლის მამაკაცი დაიწვა



24 ნოემბერს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარხანში ხანძარს მამაკაცი ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, 54 წლის მამაკაცი ხანძრის გაჩენის დროს სახლში, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ეძინა, ცეცხლი კი სწრაფად გავრცელდა. როგორც ადგილობრივები ამბობენ, შენობა ხის იყო და ცეცხლი მალე მოედო.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში შეტყობინება 19:44 საათზე შევიდა, ადგილზე მისულ ჯგუფს კაცი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

გარდაცვლილი სოფელში მარტო ცხოვრობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

## აშშ და საფრანგეთი საუდის არაბეთს ირანისგან დაიცავენ



აშშ და საფრანგეთი საუდის არაბეთს დაეხმარებიან. საუბარია ირანის სარაკეტო დარტყმებისგან დაცვაზე.

ჰუსიტმა პარტიზანებმა, რომელთა უკანაც ირანი დგას, საუდის არაბეთის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე დარტყმა განახორციელეს. ოფიციალური თეირანი ამ აქციაში თავის მონაწილეობას უარყოფს.

საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა პერლიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პირველი რადარული დანადგარები, რომლებმაც საუდის არაბეთი უნდა ირანელებისაგან დაიცვან, ადგილზე უკვე ჩაიტანეს.

## მაიკ ბლუმბერგს ამერიკის პრეზიდენტობა სურს



მილიარდერმა მაიკ ბლუმბერგმა განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტობაზე კენჭს იყრის.

– მსურს დონალდ ტრამპი დავამარცხო, რათა აშშ-ში აღმშენებლობითი პროცესი დავიწყო, – განაცხადა ბლუმბერგმა.

77 წლის მილიარდერი მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლება. მისი ქონება 52 მილიარდ დოლარს აღწევს.

ის დემოკრატების ერთ-ერთი კანდიდატია. ტრამპის ახალი კონკურენტი შტატების მე-8 ყველაზე მდიდარი ადამიანია.

ბლუმბერგი ნიუ-იორკის მერად 2002 წელს აირჩიეს და ამ პოსტს ის 11 წლის განმავლობაში იკავებდა.

## რომის პაპი ბირთვული იარაღის წინააღმდეგ



რომის პაპმა ფრანცისკმა ბირთვული იარაღის მფლობელ ქვეყნებს განიარაღებისკენ მოუწოდა.

პაპის აზრით, ბირთვული იარაღი და ბირთვული გამოცდები ცივი ომის მემკვიდრეობაა.

– დადგა დრო, როცა ამაზე უარი უნდა ვთქვათ, – მიიჩნევს პაპი.

ფრანცისკმა ხაზი გაუსვა, რომ ბირთვული იარაღის იმდენად დიდი მარაგია დაგროვილი, რომ დედამიწის მინიმუმ 100-ჯერ მოსპობაა შესაძლებელი.

– ხიროსიმასა და ნაგასაკის მაგალითი ნათლად მოგვიწოდებს იმისკენ, რომ გონს მოვეგოთ, – თქვა პაპმა.

## ჰონგ-კონგის არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა



ჰონგ-კონგის თვითმმართველობის არჩევნებში პროდემოკრატიულმა ოპოზიციურმა მოძრაობამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

ოპოზიციამ რაიონულ საბჭოებში 241-დან 201 მანდატი მოიპოვა.

არჩევნებში მონაწილეობა 2.9 მილიონმა ამომრჩეველმა მიიღო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამომრჩეველთა აქტივობა 71 პროცენტი იყო.

ჰონგ-კონგის საბჭოს წევრები ადგილობრივ საკითხებზე არიან პასუხისმგებელი, როგორებიცაა, მაგალითად, ავტობუსის მარშრუტები ან ნარჩენების მართვა, თუმცა კვირის არჩევნები მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ის პროდემოკრატიული პროტესტისა და მთავრობის მიმართ საზოგადოებრივი აზრის ტესტად მიიჩნეოდა.

გარდა ამისა, რაიონული საბჭოების 117 წევრი იმ კომიტეტის წევრიც ხდება, რომელიც ჰონგ-კონგის მთავრობის მეთაურს ირჩევს.

კომიტეტი სულ 1.200 წევრისგან შედგება.

## ჩინეთში ძლიერი მიწისძვრა მოხდა



ჩინეთის სამხრეთ ნაწილში 5,2 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა. ეპიცენტრი გუანგქსის ჟუანგის ავტონომიური რეგიონი იყო.

ადგილობრივი მედიის ცნობით, დანგრეულია სახლები.

ოფიციალური ცნობებით, მხოლოდ 1 ადამიანის დაღუპვა დასტურდება. რამდენიმე ადამიანის გადასარჩენად სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კენგურუმ დაასახიჩრა ქალი, რომელიც ძაღლს ასეირნებდა



ავსტრალიის ვიქტორიის შტატის მკვიდრმა სახის სერიოზული ტრავმები მიიღო კენგურუს თავდასხმის შედეგად, როდესაც თავის ძაღლს ასეირნებდა.

ავსტრალიელი ქალბატონი, სახელად დინა, ძაღლს სანაპიროზე ასეირნებდა. მან ცხოველს საბელი ჩახსნა და ის კენგურუს გაეკიდა. ქალმა ამის შემდეგ ცადა, რომ ძაღლი გარეული ცხოველისთვის გაერიდებინა, მაგრამ კენგურუს პირისპირ შეეჯახა.

ჩანთოსანმა ცხოველმა ქალი მიწაზე დააგდო, ურტყამდა და ზედ ახტებოდა. ავსტრალიელი მისგან თავის დაცვას ვერ ახერხებდა და ბოლოს თავი მოიმკვდარუნა, რომ კენგურუს თავი დაენებებინა.

ამ ინციდენტის შედეგად დინას ოპერაციის გაკეთება დასჭირდა კიდურებზე იარების მოსაშუშებლად. მას ასევე 25 ნაკერი დაადეს სახეზე. თავად ქალის თქმით, ის მომხდარში კენგურუს არ ადანაშაულებს. ცხოველის ქალზე თავდასხმა საფეხმავლო ბილიკიდან რამდენიმე მეტრში მოხდა. მასზე დაყენებულია გამაფრთხილებელი წარწერები, რომლებიც ძაღლების პატრონებს ურჩევს, თავიანთი ცხოველები არ გაუშვან და გვერდით იყოლიონ.

## კრაზანების თავდასხმამ სამი ადამიანი იმსხვერპლა



ჩინეთის პროვინცია გუანდუნში კრაზანების თავდასხმის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა, ხუთს კი საავადმყოფოში მკურნალობა უტარდება.

სახიფათო მწერების თავდასხმა შაბათს იმ დროს მოხდა, როდესაც ოჯახი გასვენებიდან ბრუნდებოდა. ერთ-ერთი მათგანი, 70 წლის მამაკაცი, ადგილზევე დაიღუპა. შვიდი დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მწვავე ალერგიული რეაქციის შედეგად კიდევ ორი დაკბენილი გარდაიცვალა.

ხუთი გადარჩენილი უფრო მსხვილ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. ერთ-ერთი მათგანი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ სპეციალისტების ჯგუფმა კრაზანების ბუდე გაანადგურა. ხელისუფლებამ მომხდარის გამოძიება დაიწყო, ასევე დაშავებულებს აუცილებელ დახმარებას უწევენ.

## ძაღლმა პატრონი კიბოსგან იხსნა



ამერიკის ვისკონსინის შტატის მცხოვრებმა საკუთარი ძაღლის წყალობით დროულად აღმოაჩინა სიმსივნე.

სტეფანი ჰერფელმა აღიარა, რომ ექვსი წლის წინ მისმა ძაღლმა, სახელად სიერამ, უცნაურად დაიწყო ქცევა. ის ხშირად მიდიოდა თავის პატრონთან, მუცელზე სუნავდა, მასზე ცხვირს ადებდა. თავდაპირველად ქალი ამას ყურადღებას არ აქცევდა, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ აღმოაჩინა, რომ სიერა კარადაში დაიმალა, მოიკუნტა და ცხვირი კუდქვეშ დამალა.

– მას ცხვირ-პირი სველი ჰქონდა, წარბები კი – შეკრული, – ამბობს ძაღლის პატრონი.

ძაღლის უცნაურმა ქცევამ და მუცლის არეში დაწყებულმა ტკივილებმა სტეფანი აიძულა, სამედიცინო დაწესებულებისთვის მიემართა. ექიმებმა ქალს საკვერცხეების მესამე სტადიის სიმსივნე დაუდგინეს და მკურნალობა დაუნიშნეს, რამაც ის რემისიამდე მიიყვანა.

რამდენიმე თვის შემდეგ სტეფანიმ შენიშნა, რომ ძაღლმა ისევ დაუწყო მუცელზე ყნოსვა და შემდეგ ცხვირისა და თათების კუდქვეშ დამალვა. ექიმებმა ქალს დაუდასტურეს, რომ სიმსივნე დაბრუნდა.

ჰერფელის მკურნალი ექიმი, ონკოლოგი დევიდ კუშნერი მიიჩნევს, რომ ძაღლის ქცევას რაციონალური ახსნა აქვს. მეცნიერულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ძაღლებს 97 პროცენტით შეუძლიათ გაარჩიონ ჯანმრთელი სისხლი კიბოთი დაავადებულისგან.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ოქროს მედალი და გუნდური მესამე ადგილი იაპონიიდან



4-წლიანი პაუზის შემდეგ ქართველმა ძიუდოისტმა ოსაკას გრანდ სლემზე იმარჯვა. ეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შემდეგ, რადგან იქ იაპონელები უძლიერესი შემადგენლობით გამოდიან და ყველა წონაში 2-2 ფავორიტი ჰყავთ.

საქართველოს კი ოქროს მედალი 24 წლის ბექა ღვინიაშვილმა მოუტანა, რომელმაც ფინალური ორთაბრძოლა 22 წლის უზბეკ დავლატ ბობონოვთან ჩაატარა და ილიას ილიადისისის იგივე ჯარჯი ზვიადაურის (მან უზბეკეთის ნაკრები მცირე ხნის წინ ჩაიბარა) გაწვრთნილი მეტოქე დამატებით დროში დაჯაბნა. აღსანიშნავია, რომ ბექა აზიელს ვაზარით ჩამორჩა, რომელიც მალევე გაქვითა, „გოლდენ სქორში“ კი მეტოქე იპონზე დააგდო.

გეტყვით, რომ ფინალამდე ბექამ 4 გამარჯვება იზეიმა: ქართველმა ძიუდოისტმა გზიდან ჩინელი ჰებილიგე ბუ, მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი მაშუ ბეიკერი (იაპონია), ევროპის ჩემპიონატის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი აზერბაიჯანელი მამადალი მეჰდიევი და კიდევ ერთი მასპინძელი, კენტა ნაგასავა ჩამოიცილა.

შეგახსენებთ, რომ ბოლოს პრესტიჟულ ტურნირზე ოქროს მედალი 2015 წელს ავთანდილ ჭრიკიშვილს ჰქონდა მოპოვებული.

ოსაკაში ძალები ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ.), ავთანდილ ჭრიკიშვილმა (90 კგ.) და ვარლამ ლიპარტელიანმაც (100 კგ.) სცადეს, თუმცა, ისინი შეჯიბრის ადრეულ ეტაპებზევე გამოეთიშნენ.

შედეგად, საქართველოს ნაკრებმა გრანდ სლემი 1 ოქროს მედლით დაასრულა, რაც ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში მე-3 შედეგი აღმოჩნდა. იოლი გამოსაცნობია, რომ პირველობა იაპონელებმა იზეიმეს, რომელთა მონაგარი 5 ოქრო, 5 ვერცხლი და 6 ბრინჯაო იყო, რუსებმა კი თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

# რუსთავმა საქმე გამოიკეთა

**რუსთავი-ბათუმი 100:89**
**(26:16, 30:24, 19:22, 25:27)**

სუპერლიგის მე-7 ტური რუსთავში დასრულდა. ბოლო შეხვედრაში ერთმანეთს გეორგიოს კეცელიდისის გაწვრთნილი რუსთავი და გია კაზანჯიანის ბათუმი შეხვდნენ. ზღვისპირელებს აქამდე მიჯრით 4 შეხვედრა ჰქონდათ მოგებული და დაკარგული ქულებით სუპერლიგის ლიდერთა შორის იყვნენ, რუსთაველებს კი მიუხედავად მძლავრი შემადგენლობისა, 6 მატჩში მხოლოდ 2 გამარჯვება ჰქონდათ და ეს მატჩი მათთვის დიდი გამოცდა იყო.

ქვემოქართლელებმა გამოწვევას ბრწყინვალედ გაართვეს თავი. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავს ძირითადი გამთამაშებელი, ოთარ ფხაკაძე აკლდა, კეცელიდისის გუნდმა ბათუმელებთან დაპირისპირებას მშვენივრად გაართვა თავი და უპირატესობა, რომელიც დასაწყისშივე მოიპოვა, თამაშის ბოლომდე არ დაუთმია.

პირველი პერიოდი რუსთაველებმა 26:16 მოიგეს, ხოლო მეორეში უპირატესობა 14 ქულამდე გაზარდეს. მასპინძელთა წარმატების მიზეზი იყო შედეგიანი თამაში როგორც უკანა, ისე – წინა ხაზში. განსაკუთრებით შედეგიანი იყო რუსთაველთა უკანა ხაზი. მერაბ ბოქოლიშვილმა მშვენივრად გაართვა თავი გამთამაშებლის ფუნქციებს და ბურთის გათამაშებასთან ერთად და უკეთესადაც, მეტოქის კალათს უტევდა. ბოქოლიშვილმა 3-ქულიანებიც ჩააგდო, ორიანებიც და როცა მის სიზუსტეს წინახაზელების – ილია ლონდარიძის, ნიკოლა ტადიჩის და შეცვლაზე შესული აკაკი დვალიშვილის შედეგიანობაც დაერთო, რუსთავი შეუჩერებელი გახდა.



მე-3 პერიოდში მასპინძელთა უპირატესობამ 20 ქულას გადააჭარბა – 50:39. ამის შემდეგ დაიწყო ბათუმელების შედეგიანი თამაში, რაც პრესინგისა და 3-ქულიანი სროლების მონაცვლეობაში გამოიხატებოდა. რეზო ჩაჩანიძის, ჯუნიუს პროველისა და კოლინ მალკოლმის შედეგიანობით ბათუმელებმა ბოლო პერიოდში 10 ქულამდე შეამცირეს ჩამორჩენა, თუმცა ყველაფერს ნიკოლა ტადიჩისა 2 და საბა ლობჯანიძის ერთმა 3-ქულიანმა დაუსვა წერტილი. რუსთაველთა უპირატესობა 15 ქულას ასცდა და ზღვისპირელებს თამაშის გადარჩენის არც დრო შერჩათ და არც რესურსი.

ქვემოქართლურმა გუნდმა საბოლოოდ 100:89 გაიმარჯვა, რაშიც უმეტესი წილი ნიკოლა ტადიჩმა დაიდო. სერბი ცენტრ-ფორვარდის ანგარიშზე 18 ქულა, 15 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა. 20 ქულა და 5 მოხსნა დენზელ ლივინგსტონმა მიითვალა. 15 ქულა აკაკი დვალიშვილმა, ხოლო 14 – მერაბ ბოქოლიშვილმა დააგროვეს. ბათუმში 21 ქულით, 6 პასითა და 6 მოხსნით საუკეთესო იყო ჯუნიუს პროველი, რეზო ჩაჩანიძის ანგარიშზე კი 21 ქულა დაგროვდა.

# შედეგები

## 24 ნოემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

შეფილდი-მანჩესტერი ................... 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 13 | 12 | 1 | 0 | 30-11 | 37 |
| 2.ლესტერი | 13 | 9 | 2 | 2 | 31-8 | 29 |
| 3.სიტი | 13 | 9 | 1 | 3 | 37-14 | 28 |
| 4.ჩელსი | 13 | 8 | 2 | 3 | 28-19 | 26 |
| 5.ვულვზი | 13 | 4 | 7 | 2 | 18-16 | 19 |
| 6.შეფილდი | 13 | 4 | 6 | 3 | 16-12 | 18 |
| 7.ბარნლი | 13 | 5 | 3 | 5 | 20-18 | 18 |
| 8.არსენალი | 13 | 4 | 6 | 3 | 18-19 | 18 |
| 9.მანჩესტერი | 13 | 4 | 5 | 4 | 18-15 | 17 |
| 10.ტოტენჰემი | 13 | 4 | 5 | 4 | 21-19 | 17 |
| 11.ბორნმუთი | 13 | 4 | 4 | 5 | 16-17 | 16 |
| 12.ბრაიტონი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-19 | 15 |
| 13.კრ.პალასი | 13 | 4 | 3 | 6 | 11-18 | 15 |
| 14.ნიუკასლი | 12 | 4 | 3 | 5 | 11-18 | 15 |
| 15.ევერტონი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-20 | 14 |
| 16.ვესტ ჰემი | 13 | 3 | 4 | 6 | 16-23 | 13 |
| 17.ასტონ ვილა | 12 | 3 | 2 | 7 | 17-20 | 11 |
| 18.ნორვიჩი | 13 | 3 | 1 | 9 | 13-28 | 10 |
| 19.საუთჰემპტონი | 13 | 2 | 3 | 8 | 13-31 | 9 |
| 20.უოტფორდი | 13 | 1 | 5 | 7 | 8-26 | 8 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მიდლსბრო-ჰალი ........................... 2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ჰერტა ........................ 4:0
ჰოფენჰაიმი-მაინცი ...................... 1:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გლადბახი | 12 | 8 | 1 | 3 | 24-13 | 25 |
| 2.ლაიფციგი | 12 | 7 | 3 | 2 | 33-13 | 24 |
| 3.ბაიერნი | 12 | 7 | 3 | 2 | 33-16 | 24 |
| 4.ფრაიბურგი | 12 | 6 | 4 | 2 | 21-13 | 22 |
| 5.შალკე | 12 | 6 | 4 | 2 | 22-15 | 22 |
| 6.დორტმუნდი | 12 | 5 | 5 | 2 | 26-18 | 20 |
| 7.ვოლფსბურგი | 12 | 5 | 5 | 2 | 13-10 | 20 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 12 | 6 | 2 | 4 | 17-19 | 20 |
| 9.ლევერკუზენი | 12 | 5 | 4 | 3 | 18-16 | 19 |
| 10.აინტრახტი | 12 | 5 | 2 | 5 | 21-18 | 17 |
| 11.უნიონი | 12 | 5 | 1 | 6 | 15-17 | 16 |
| 12.აუგსბურგი | 12 | 3 | 4 | 5 | 17-24 | 13 |
| 13.მაინცი | 12 | 4 | 0 | 8 | 17-31 | 12 |
| 14.ვერდერი | 12 | 2 | 5 | 5 | 19-26 | 11 |
| 15.ჰერტა | 12 | 3 | 2 | 7 | 17-25 | 11 |
| 16.ფორტუნა | 12 | 3 | 2 | 7 | 15-23 | 11 |
| 17.კიოლნი | 12 | 2 | 1 | 9 | 11-27 | 7 |
| 18.პადერბორნი | 12 | 1 | 2 | 9 | 14-29 | 5 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-ნიურნბერგი ................... 0:0
შტუტგარტი-კარლსრუე ................ 3:0
რეგენსბურგი-ჰაიდენჰაიმი ............ 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ხეტაფე ........................ 1:1
ოსასუნა-ბილბაო ........................... 1:2
ეიბარი-ალავესი ............................. 0:2
ვილიარეალი-სელტა ...................... 1:3
ვალიადოლიდი-სევილია ............... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 9 | 1 | 3 | 35-16 | 28 |
| 2.რეალი | 13 | 8 | 4 | 1 | 28-10 | 28 |
| 3.სევილია | 14 | 8 | 3 | 3 | 18-14 | 27 |
| 4.ატლეტიკო | 14 | 6 | 7 | 1 | 16-9 | 25 |
| 5.ბილბაო | 14 | 5 | 5 | 4 | 15-9 | 23 |
| 6.სოსიედადი | 14 | 7 | 2 | 5 | 22-17 | 23 |
| 7.ხეტაფე | 14 | 5 | 6 | 3 | 19-16 | 21 |
| 8.გრანადა | 14 | 6 | 3 | 5 | 20-18 | 21 |
| 9.ვალენსია | 14 | 5 | 5 | 4 | 20-20 | 20 |
| 10.ოსასუნა | 14 | 4 | 7 | 3 | 17-15 | 19 |
| 11.ვილიარეალი | 14 | 5 | 3 | 6 | 27-22 | 18 |
| 12.ალავესი | 14 | 5 | 3 | 6 | 16-18 | 18 |
| 13.ლევანტე | 13 | 5 | 2 | 6 | 16-16 | 17 |
| 14.ვალიადოლიდი | 14 | 4 | 5 | 5 | 14-18 | 17 |
| 15.ბეტისი | 14 | 4 | 4 | 6 | 17-24 | 16 |
| 16.ეიბარი | 14 | 4 | 3 | 7 | 14-23 | 15 |
| 17.მალიორკა | 14 | 4 | 2 | 8 | 13-22 | 14 |
| 18.სელტა | 14 | 3 | 3 | 8 | 10-20 | 12 |
| 19.ესპანიოლი | 14 | 2 | 3 | 9 | 8-24 | 9 |
| 20.ლეგანესი | 14 | 1 | 3 | 10 | 8-24 | 6 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-ნუმანსია ........................ 2:0
ალბასეტე-მირანდესი .................... 1:2
მალაგა-ელჩე ................................ 3:3
ხირონა-ფუენლაბრანდა ................ 2:0
ლას პალმასი-ოვიედო ................. 3:1
კადისი-ლუგო ............................... 2:1

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-პარმა ........................... 2:2
ვერონა-ფიორენტინა .................... 1:0
რომა-ბრეშა .................................. 3:0
სასუოლო-ლაციო .......................... 1:2
სამ?დორია-უდინეზე ..................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 13 | 11 | 2 | 0 | 23-10 | 35 |
| 2.ინტერი | 13 | 11 | 1 | 1 | 29-12 | 34 |
| 3.ლაციო | 13 | 8 | 3 | 2 | 30-14 | 27 |
| 4.რომა | 13 | 7 | 4 | 2 | 23-14 | 25 |
| 5.კალიარი | 12 | 7 | 3 | 2 | 23-12 | 24 |
| 6.ატალანტა | 13 | 6 | 4 | 3 | 31-21 | 22 |
| 7.ნაპოლი | 13 | 5 | 5 | 3 | 22-16 | 20 |
| 8.პარმა | 13 | 5 | 3 | 5 | 20-17 | 18 |
| 9.ვერონა | 13 | 5 | 3 | 5 | 11-11 | 18 |
| 10.ფიორენტინა | 13 | 4 | 4 | 5 | 18-20 | 16 |
| 11.ტორინო | 13 | 4 | 2 | 7 | 15-20 | 14 |
| 12.მილანი | 13 | 4 | 2 | 7 | 12-17 | 14 |
| 13.უდინეზე | 13 | 4 | 2 | 7 | 9-20 | 14 |
| 14.სასუოლო | 12 | 4 | 1 | 7 | 22-23 | 13 |
| 15.ბოლონია | 13 | 3 | 4 | 6 | 18-22 | 13 |
| 16.სამპდორია | 13 | 3 | 3 | 7 | 9-20 | 12 |
| 17.ლეჩე | 12 | 2 | 4 | 6 | 15-25 | 10 |
| 18.ჯენოა | 12 | 2 | 3 | 7 | 14-26 | 9 |
| 19.სპალი | 12 | 2 | 2 | 8 | 7-18 | 8 |
| 20.ბრეშა | 12 | 2 | 1 | 9 | 10-23 | 7 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-კოზენცა ........................... 3:2
ჩიტადელა-პიზა ............................ 1:1
სპეცია-ფროზინონე ........................ 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-მონაკო ............................. 2:1
სტ.ეტიენი-მონპელიე .................... 0:0
ტულუზა-მარსელი ......................... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 11 | 0 | 3 | 30-8 | 33 |
| 2.მარსელი | 14 | 7 | 4 | 3 | 18-11 | 25 |
| 3.ანჟე | 14 | 7 | 3 | 4 | 18-16 | 24 |
| 4.ბორდო | 14 | 6 | 4 | 4 | 20-16 | 22 |
| 5.სტ.ეტიენი | 14 | 6 | 4 | 4 | 15-17 | 22 |
| 6.მონპელიე | 14 | 5 | 5 | 4 | 14-10 | 20 |
| 7.რეიმსი | 14 | 5 | 5 | 4 | 10-7 | 20 |
| 8.ნანტი | 14 | 6 | 2 | 5 | 12-13 | 20 |
| 9.ლიონი | 14 | 5 | 4 | 5 | 22-14 | 19 |
| 10.ლილი | 14 | 5 | 4 | 5 | 18-15 | 19 |
| 11.რენი | 13 | 5 | 3 | 5 | 17-15 | 18 |
| 12.სტრასბური | 14 | 5 | 3 | 6 | 15-14 | 18 |
| 13.მონაკო | 14 | 5 | 3 | 6 | 21-24 | 18 |
| 14.ბრესტი | 14 | 4 | 6 | 4 | 15-17 | 18 |
| 15.ნიცა | 14 | 5 | 2 | 7 | 17-21 | 17 |
| 16.ამიენი | 14 | 4 | 4 | 6 | 17-24 | 16 |
| 17.დიჟონი | 14 | 4 | 3 | 7 | 9-15 | 15 |
| 18.მეცი | 14 | 3 | 5 | 6 | 12-19 | 14 |
| 19.ტულუზა | 14 | 3 | 3 | 8 | 15-27 | 12 |
| 20.ნიმი | 13 | 2 | 5 | 6 | 11-17 | 11 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

გრონინგენი-ფეინოორდი .............. 1:1
პსვ-ჰერენვენი ............................... 2:1
ვალბაიკი-ემენი ............................. 1:1
ვენლო-ტვენტე ............................... 2:1
სპარტა-ვიტესი ............................. 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-სოჭი ...................................... 1:1
ურალი-სპარტაკი .......................... 0:0
არსენალი-კრასნოდარი ................ 1:2
ცსკა-კრილია ................................ 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-ქსამაქსი ..................... 4:1
სიონი-იანგ ბოიზი ......................... 3:4
თუნი-ლუგანო ............................... 0:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-რეინჯერსი ................. 1:3
სტ.ჯონსონი-აბერდინი ................. 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-აუსტრია .......................... 0:0
ჰარტბერგი-ალტახი ..................... 2:1
რაპიდი-შტურმი ............................ 1:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენტი-ანტვერპენი ........................ 1:1
ანდერლეხტი-კორტრაიკი ............. 0:0
სტ.ტრუიდენი-შარლერუა ............ 1:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-ოფი ......................... 2:1
ასტერასი-ვოლოსი ....................... 0:0
პაოკი-ლარისა .............................. 1:0
აეკი-არისი .................................... 1:1
პანეთოლიკოსი-პანათინაიკოსი .... 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-სივასი ............................. 1:4
ალანია-გიოზთეფე ........................ 0:1
ქაშიმფაშა-გენჩლერი .................... 1:2
მალათია-ფენერბახჩე ..................... 0:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ტეპლიცე-ბანიკი ........................... 1:1
ლარვინა-პლზენი .......................... 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

იაგელონია-არკა ........................... 2:0
სლასკი-ვისლა .............................. 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კარპატი-ოლიმპიკი ....................... 1:2
კოლოსი-დესნა ............................. 2:0
დინამო-მარიუპოლი ...................... 3:0

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-ლუნგბიუ ................ 2:2
ოლბორგი-ჰორსენსი .................... 4:0
სილკებორგი-ესბიერგი ................ 1:2
კოპენჰაგენი-ჰობრო ..................... 2:1
ორხუსი-ბრონდბიუ ....................... 2:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბოდო . გლიმდტი-კრისტიანსუნდი
3:0
ვიკინგი-რუსენბორგი .................... 2:2
ვალერენგა-მიოლდე ..................... 2:4
რანჰეიმი-ლილესტრიომი .............. 2:1
სარპსბორგი-ჰაუგესუნდი ............. 1:1
სტაბეკი-მიონდალენი ................... 4:2
სტრომგოდსეტი-ბრანი ................. 6:0
ოდ გრელანდი-ტრომსო ................ 2:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ივანე გარსევანიშვილი**

დაკრძალვა: 26 ნოემბერს, 14 საათზე.
მისამართი: პაოლო იაშვილის №6.

სამშობიარო სახლი „იმედის კლინიკა“ და პედიატრიული საავადმყოფო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბიჭიკო მეკოკიშვილის დედა

**ციალა მეკოკიშვილი**

და ღრმა მწუხარებას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ამირან, რუსუდან, ავთანდილ მექვაბიშვილები გულისტკივილით იუწყებიან

**რომან გედენიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 2. ბაბილონის მეფე, პირველი კანონების შემქმნელი; 3. ამერიკული სიგარეტი; 4. რაიმეს მარაგი; 5. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი; 8. მკვლელობათა საქმის გამომძიებელი აშშ-ში; 12. ფრანგი მხატვარი; 13. რომაელი ორატორი, სახელმწიფო მოღვაწე; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 16. წმინდა ოქრო; 18. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 20. მტკნარი წყლის დიდი თევზი.

**თარაზულად:** 6. ორგანიზაციის, დაწესებულების შიკრიკი; 7. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 8. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 9. მე-19 საუკუნის ვირტუოზი ბელგიელი მევიოლინე მამაკაცი, კომპოზიტორი; 10. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული გრძელთმიანი მაიმუნი; 11. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი; 15. სისხლის წნევის აწევა; 17. გურულებისა და აჭარლების ძველებური ტანსაცმელი; 19. ბრიტანეთის ნაწილი; 21. ამერიკის აღმომჩენი; 22. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 23. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კალათი; 4. ტიანშანი; 7. პეკინი; 8. ვარშავა; 12. ქლიბი; 13. კარაქი; 15. იგუანა; 17. ბოა; 19. გაზიფიკაცია; 20. კარტი; 21. კივერი.

**შვეულად:** 1. კივი; 2. ათენა; 3. კრივი; 5. აბრაგი; 6. ნეგატივი; 9. მელანქოლია; 10. ლინგვისტი; 11. ისლამიზმი; 14. აბო; 16. პარადი; 18. აკრი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ინვარი; 2. ნამი; 3. აკინი; 4. აკრი; 5. პონი; 6. ნული; 7. მისის; 8. კიურე; 9. ოინი; 10. კენია; 11. ისარი; 12. ტრავერსი; 13. კირკიტი; 14. პირანია; 15. სია; 16. მიომა; 17. რკო; 18. ვან; 19. ესპადა; 20. ატა; 21. პარადი; 22. პაი; 23. ხმა; 24. მაზინა; 25. აზარტი; 26. გერი; 27. ომი; 28. ოზმა; 29. რეგრესი; 30. არაგვი; 31. ნუტრია; 32. კაპრიზი. **სურათებზე:** პერის ჰილტონი; სემი ჰიპია.

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


26 ნოემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.9749

ევრო — 3.2899

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8305

100 რუსული რუბლი — 4.6709




**ამინდის პროგნოზი 26 ნოემბერი**

2018311219651




## 26 ნოემბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

# საგანძური

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

## „მასტერშეფი“ სოფო გოგებაშვილმა დატოვა



კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ მორიგი საკონკურსო ტური სოფო გოგებაშვილისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. იგი უკვე მეორედ დასახელდა გავარდნის კანდიდატებს შორის, პირველად გადარჩა, მეორედ კი, ჟიურის გადაწყვეტილებით, წინსაფარი მოიხსნა და შოუ დატოვა.

სოფოსთან ერთად ყველაზე ცუდი კერძი მოამზადეს დალი ჩიტალაძემ და პიტო სეთურიძემ, თუმცა ჟიურიმ პიტოს და დალის მისცა კიდევ ერთი შანსი, რადგან ისინი წინა ტურშიც გავარდნის კანდიდატები იყვნენ.

ამ საკონკურსო ტურის გამარჯვებული კი მარიამ ქურდიანი გახდა.

## ლექს-სენი ისრაელში დააპატიმრეს



რეპერი ლექსო ქავთარაძე, რომელსაც მსმენელი ლექს-სენის მეტსახელით იცნობს, ისრაელში დააპატიმრეს.

მას 22 ნოემბერს ისრაელში კონცერტი უნდა ჩაეტარებინა და ორ დღეში უკან უნდა დაბრუნებულიყო, თუმცა სცენის ნაცვლად ციხეში აღმოჩნდა.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

— ადამიანებო, მეგობრებო, ვინც ჯერ კიდე ფიქრობს და სურს წასვლა ისეთ ტერორისტულ ქვეყანაში, როგორიც ისრაელია. გაითვალისწინეთ ჩემი რჩევა, საკუთარ თავზე გამოვცადე, არ წახვიდეთ არასდროს. იმიტომ, რომ ვიღაცას არ მოეწონები სახეზე ან ჩაცმულობაზე, ან რამე საბუთი არ გექნება დამაჯერებელი, უბრალოდ პირდაპირ, მიზეზგარეშე გართმევენ ტელეფონს და სატუსაღო მანქანით გადაყავხარ ციხეში, სადაც კოშმარულად ექცევიან, განსაკუთრებით ქართველებს, ქართველ ქალებს და დედებს. ეს ვნახე საკუთარი თვალით, 2 დღე ჩაგვსვეს ციხეში, სადაც კოშმარული პირობებია, ვერ ჩამოვთვლი აქ. ეს არის სამხედრო ტერორისტული სახელმწიფო, ეს მათი უფლება და ნებაა, უბრალოდ გაითვალისწინეთ.

## ასტროპროგნოზი



### 26 ნოემბრისათვის

**ვერძი** — ახლობელ ადამიანთან უთანხმოება, ჭორები და ცილისწამება სულიერ წონასწორობას საკმაოდ დაგირღვევთ. ვარსკვლავები გირჩევენ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ემოციებს არ აჰყვეთ. **კურო** — ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. ნუ გარისკავთ. საყიდლებზე წასვლა დღეს არ ღირს. **ტყუპები** — ცდუნებას არ აჰყვეთ. სავაჭროდ წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსურ სფეროში წარმატება თქვენს შორსმჭვრეტელობასა და წინდახედულობაზეა დამოკიდებული. **კირჩხიბი** — ნუ იაქტიურებთ. ეცადეთ, საკუთარ გრძნობებსა და აზრებში გაერკვეთ. ეცადეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდეთ. **ლომი** — ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახება. ნუ აჩქარდებით. **ქალწული** — კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. ნუ გარისკავთ. კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრების გარემოცვაში დაისვენებთ. **სასწორი** — მნიშვნელოვანი საქმეების დასაწყებად შეუფერებელი დღეა. შესაძლოა, საქმიანმა პარტნიორმა იმედი გაგიცრუოთ. **ღრიანკალი** — საყვარელ ადამიანებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ, უნდა დამშვიდდეთ და სულიერი წონასწორობა მოიპოვოთ. **მშვილდოსანი** — ყურადღება მიაქციეთ თქვენსა და ახლობლების ჯანმრთელობას. ცდუნებას არ აჰყვეთ. **თხის რქა** — ახლობელ ადამიანთან უთანხმოება, ჭორები და ცილისწამება სულიერ წონასწორობას საკმაოდ დაგირღვევთ. ვარსკვლავები გირჩევენ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ემოციებს არ აჰყვეთ. **მერწყული** — სერიოზული ცვლილებების დღეა. ეს ცვლილებები იწვევს როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებს. თქვენზე გავრცელებულ ჭორებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. საქმე მშვიდად აკეთეთ. **თევზები** — მეგობრული და ნათესაური კავშირების აღსადგენად შესაფერისი პერიოდია. ფრთხილად იყავით კონფლიქტური სიტუაციებისას. ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

მანიაკი ლიფტში შევარდა და ქალს უყვირის:

— უნდა გაგაუპატიურო!

— მადლობა ღმერთს, თორემ მეგონა, რომ ისევ უნდა გავეძარცვე!

•••

ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაღლილი ქმარი ცოლს ეუბნება:

— კარგი, ისე იყოს, როგორც შენ გსურს...

— უკვე გვიანია, გადავიფიქრე!

•••

სამუშაო დღის ბოლოს სახლისკენ მიმავალი ტაქსის მძღოლი შუქნიშანზე ჩერდება. ამ დროს ფანჯარაში გოგონამ შემოყო თავი და ეუბნება:

— ორალური, 50.

— ორალური, 50... ორალური, 50... სად ჯანდაბაშია?

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

— სახლში დილის 5 საათზე რატომ მოხვედი?

— აბა, ამ ქალაქში დილის 5 საათზე სხვაგან სად უნდა წავსულიყავი?

•••

საზოგადოებრივ ტუალეტში განცხადებაა გამოკრული: „ისარგებლეთ ჯაგრისით!“

ქვევით მინაწერია: „და ტუალეტის ქაღალდით შეიძლება? თორემ ჯაგრისით მტკივნეულია“.

## პატრიარქმა 500-მდე ბავშვი მონათლა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ რიგით 61-ე საყოველთაო ნათლობის ფარგლებში 500-მდე ბავშვი მონათლა. ნათლობა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ჩატარდა. ილია მეორის ნათლული გახდა ჯვარდაწერილ ოჯახში დაბადებული მესამე და მომდევნო ბავშვი.

ამ ტრადიციას მისმა უწმინდესობამ საფუძველი 2008 წელს ნათლისღების დღესასწაულზე ჩაუყარა და მიზეზად საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება დაასახელა. დღეისთვის ილია მეორეს 40.000-ზე მეტი ნათლული ჰყავს.

## სალაჰი მოედანს მალე დაუბრუნდება




მოჰამედ სალაჰმა კრისტალ პალასთან შეხვედრა გამოტოვა, რის შემდეგაც ჟურნალისტებმა იურგენ კლოპს მისი ჯანმრთელობის შესახებ ჰკითხეს. კლოპმა განაცხადა, რომ სალაჰს მცირე ტრავმა ჰქონდა და მან ეგვიპტელი ფეხბურთელის დასვენება ამჯობინა, მაგრამ ნაპოლის წინააღმდეგ სალაჰი მოედანზე იქნება:

— სალაჰი ნაკრებიდან დაღლილი დაბრუნდა, თან მას მცირე ტრავმა ჰქონდა, ამიტომ ვამჯობინე, რომ ის მოედანზე არ გამოსულიყო. ნაპოლის წინააღმდეგ სალაჰის იმედი გვაქვს და ის აუცილებლად ითამაშებს. ნაპოლისთან მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ.

## ედენ აზარი: „ოქროს ბურთი ლივერპულის ფეხბურთელმა უნდა მოიგოს“

რეალის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა ოქროს ბურთზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს ჯილდო აუცილებლად ლივერპულის ფეხბურთელმა უნდა მოიგოს.

აზარის აზრით, ეს, შესაძლოა, სადიო მანეც იყოს, თუმცა ფავორიტი ვირჯილ ვან დეიკია:

— ლივერპულმა ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და მას შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს, ამიტომ ოქროს ბურთი სწორედ ამ გუნდის მოთამაშემ უნდა მოიგოს. მინდა, რომ ეს სადიო მანე იყოს, თუმცა ფავორიტი ვირჯილ ვან დეიკია.

## ემერის ფეხბურთელებიც აუჯანყდნენ



არსენალის ფეხბურთელები უნაი ემერის მუშაობით უკმაყოფილოები არიან და მის წასვლას ითხოვენ. ამის შესახებ ინფორმაცია ინგლისურ პრესაში გავრცელდა.

არსენალი ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ცუდ შედეგებს აჩვენებს და გუნდს პირველ ოთხეულში მოხვედრა ძალიან გაუჭირდება.

არსენალის ხელმძღვანელობა რამდენიმე დღეში შეხვედრას გამართავს, სადაც სწორედ უნაი ემერის საკითხს განიხილავენ.

მის შემცვლელად ფრედი ლუნგბერგი მოიაზრება, რომელიც წლების მანძილზე არსენალის ფეხბურთელი და ლიდერი იყო.

## გიორგი ჩაკვეტაძე მოედანზე დეკემბერში დაბრუნდება

საქართველოს ნაკრებისა და ბელგიური გენტის შემტევი გიორგი ჩაკვეტაძე მოედანს დეკემბერში დაუბრუნდება.

ჩაკვეტაძის დაბრუნება ნოემბერში იყო დაგეგმილი, მაგრამ, ექიმების რჩევით, გენტმა ჩაკვეტაძე არ ათამაშა, რომ ტრავმა არ გაემიზეზებინა.

გიორგიმ ბოლოს 21 აპრილს ითამაშა. მაისში მან ოპერაცია გაიკეთა, რომ ტრავმა ბოლომდე მოეშუშებინა.

გიორგი ჩაკვეტაძე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია და ერთა თასზე ის ნაკრების მთავარი ბომბარდირი გახდა.

## სერხიო აგუერომ ტრავმა მიიღო



მანჩესტერ სიტის არგენტინელმა ფორვარდმა სერხიო აგუერომ ჩელსისთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ეს ტრავმა საკმაოდ სერიოზულია.

აგუერომ, შესაძლოა, ერთი თვე გამოტოვოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სერხიო მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ თამაშს ვერ შეძლებს.

აგუეროს არყოფნა სიტისთვის ძალიან დიდი დანაკლისი იქნება, რადგან ის მანჩესტერელების მთავარი ბომბარდირია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## საქართველო საბავშვო ევროვიზიაზე მე-14 ადგილზე გავიდა



საბავშვო ევროვიზიის წლევანდელ კონკურსზე საქართველო მე-14 ადგილზე გავიდა.

წელს კონკურსში სულ 19 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოს წარმომადგენელმა გიორგი როსტიაშვილმა მეექვსე ნომრად იმღერა და პატარა უფლისწულის თემატიკაზე შექმნილი დეკორაციით მაყურებლის მოხიბვლა შეძლო. გიორგიმ საბავშვო ევროვიზიაზე დავით ევგენიძის მიერ დაწერილი სიმღერა „გვინდა გვიყვარდეს“ შეასრულა. შოუს დაწყებამდე ორი დღით ადრე საბავშვო ევროვიზიის კონკურსანტებისთვის ხმის მიცემა დაიწყო, კონკურსის მსვლელობისას შეწყდა და 19-ვე მომღერლის გამოსვლის შემდეგ 15 წუთით კვლავ განახლდა.

გიორგი როსტიაშვილმა ჟიურისგან 37 ქულა დააგროვა, მაყურებლისგან კი 32 ქულა და 69 ქულით 19-დან მე-14 ადგილზე გავიდა.

წლევანდელი საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული ზედიზედ მეორედ პოლონეთი გახდა. მისმა წარმომადგენელმა ვიკი გაბორმა სიმღერით „სუპერჰირო“ 278 ქულა დაიმსახურა, მეორე ადგილი ყაზახეთს ერგო 227 ქულით, მესამე ადგილზე კი 212 ქულით ესპანეთი გავიდა. საბავშვო ევროვიზია 24 ნოემბერს პოლონეთში გაიმართა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ჩეჩნეთის მეორე სახელწოდება; 2. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 3. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 4. განსაკუთრებული წესით დამზადებული ცხვრის ყველი; 5. უკრაინის პრეზიდენტი; 7. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 11. შევარდენისნაირთა ოჯახის ფრინველი; 13. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 15. მოედანი სამხედრო-სამწყობრო ვარჯიშებისთვის; 16. წიაღისეულით მდიდარი ზღვის თხელწყლიანი სანაპირო ზოლი; 18. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 19. კოვბოების შეჯიბრი.

**თარაზულად:** 6. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 8. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 9. ქართული კონიაკი; 10. ლითონის ფულის ერთ-ერთი მხარე; 12. გერმანელი ფილოსოფოსი; 14. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 20. ცეცხლსასროლი იარაღის გერმანელი კონსტრუქტორი; 21. ქართული რადიო; 22. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ღერო; 23. ქალაქ ფოთის პირველი მერი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*